*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

## სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

ა) მარიამი ხეთაგაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ტარიელ კალანდაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ია ვარდოსანიძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) მაია მაძღარაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ე) ნათია ქათამაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნანა ჩხიკვაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ელიზა კუკავა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ) ნინო ჯახველიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ხათუნა გერგაია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) მარინა ანესაშვილი - ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ქეთევან ცირეკიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 230078395 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ზესტაფონი |
| იურიდიული მისამართი | ზესტაფონი სოფ.ზედა საქარა |
| ფაქტობრივი მისამართი | ზესტაფონი სოფ.ზედა საქარა |
| საფოსტო ინდექსი | 2000 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge) |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | zedasakara@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577747780 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 15.08.2023 ბრძანება MES 2 23 0000994640 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 4 და 5 ოქტომბერი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ზესტაფონი , სოფელი ზედა საქარა |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ზესტაფონი , სოფელი ზედა საქარა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ზესტაფონი , სოფელი ზედა საქარა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

2023 წლის 4 და 5 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:მარიამი ხეთაგაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე); ტარიელ კალანდაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);ია ვარდოსანიძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); მაია მაძღარაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);ნათია ქათამაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ნანა ჩხიკვაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ელიზა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კუკავა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ნინო ჯახველაძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);ხათუნა გერგაია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); მარინა ანესაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ქეთევან ცირეკიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა ონლაინ თიმსსის საგანმანათლებლო პლათფორმის საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დანართებად წარმოდგენილ მტკიცებულებებს. თვითშეფასებისა და დანართების განხილვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და შეათანხმა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მოხდა პედაგოგებთან, დირექციასთნ, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალთან გასაუბრება. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ. საბუნებისმეტყველო ექსპერტი ფიზიკურად იმყოფებოდა სკოლაში. მან განახორციელა ლაბორატორიების დათვალიერება. მისის და პედაგოგების გასაუბრება წარიმართა პირისპირ. ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს სკოლის წარმომადგენლებს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის გამორჩეულ პრაქტიკად მიიჩნია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული თემების მიხედვით წარმატებით განხორციელებული სასკოლო პროექტები. გასულ წლებში სკოლაში განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელთა პრიორიტეტული თემები იყო: კულტურული მემკვიდრეობა, ჯანსაღი ცხოვრება და გარემოს დაცვა. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრება - ჯანსაღი სული და სხეული“. **პროექტი წარმოდგენილი იყო ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ჩატარებულ რაიონულ კონფერენციაზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობა საფეხბურთო მატჩი პროექტში ჩართულ მეორე, მეზობელი მუნიციპალიტეტის სკოლასთან, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორი სკოლის მეგობრობას.

უნდა აღინიშნოს, სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო პროექტებში, კერძოდ პროექტის ,,სადაც ვშობილვარ ,გავზრდილვარ'' ფარგლებში სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით და ხელშეწყობით, მოსწავლეებმა დაამზადეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ,შორაპნის ციხის,მაკეტი. რაიონულ და რეგიონალურ კონფერენციაზე ასევე წარმოდგენილი იყო ინკლუზიური განათლების მიმართულებით შექმნილი სასწავლო რესურსები, მასალები, სტრატეგიები, რომლებიც წარმოდგენილი იყო საკონფერენციო თემის სახით.

გასული წლების მანძილზე სკოლის წარმატებულ პრაქტიკას ასევე წარმოადგენს სკოლის მოსწავლეების წარმატებული მონაწილეობა ტურისტულ საველე ლაშქრობებში საქართველოს მასშტაბით, ასევე სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა მომღერალი გუნდის ფუნქციონირება, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით იღებდა მონაწილეობას რაიონულ, რეგიონალურ თუ რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☒ | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| მოსწავლეთა რაოდენობა: 300 | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |
|---|---|---|

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

**სრულ შესაბამისად** შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.2.1.4* | *„სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვად* | სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ **01.02.2024 წ.-მედე პერიოდში** *სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწეროს ამოცანებ შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.* |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | *ინდიკატორები, რეალისტური ვადებ პასუხისმგებელი პირები“* | |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი 3.1.2.4* | *„პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებუ თანამდებობას“* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ* **30.11.2023 წ.-მდე პერიოდში წარმოადგინოს** *2020 წლიდან დასაქმებული თანამშრომლების ცნობები სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1* | *„სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველად დახმარების აღმოჩენას“* | *სკოლამ შესაბამსიობის გეგმით გაწერილ* **01.09.2024 წ. - მდე პერიოდში უზრუნველყოს** *ა)შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული დასკვნის მოპოვება*<br>*ბ)სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება*<br>*გ)საგანგებო სიტუაციების მართვის გაგეგმის შეთანხმება* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.1.1.5 | „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი“ | სასურველია სკოლამ გამოიყენოს საჯაროობის ალტერნატიული მექანიზმები, მაგ: გააჟღეროს მისია, ხედვა და ღირებულებები სხვადასხვა ღონისძიებაზე, გაუგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტით და სხვ. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.1.1.6 | ,,სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს“ | სასურველია სკოლამ განაახლოს ამონაწერი, სადაც ასაცული იქნება სკოლის შეცვლილი სახელწოდება. |
| ***სტანდარტო N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| ინდიკატორი3.4.1.1 | „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ | სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. |
| ინდიკატორი 3.6.2.1 | „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;“ | სასურველია დამრიგებლების მიერ შევსებულ იქნას მოსწავლეთა პირადი საქმეები სრულყოფილად (პირადი საქმის გვ.2) |
| ინდიკატორი 3.6.3.3 | „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს | სასურველია ვებ გვერდზე/სოციალურ ქსელში განათავსოთ გამოკითხვის ფორმები, რაც მისცემს |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“ | დაინტერსებულ პირებს კომენტარის დაფიქსირებისა თუ წერილის მიწერის საშუალებას. |
| ინდიკატორი 3.6.3.1 | „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ | სასურველია სკოლამ ვებ.გვერდზე განათავსოს სკოლის სტრუქტურა, სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა და 1 წლიანი განვითარების გეგმები. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| ინდიკატორი N 4.2.2.2 | „სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ | სასურველია სკოლამ მოსწავლეებისა და მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით გამოიყენოს ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხი (პირისპირ შეხვედრებ ვებინარები, საინფორმაციო რუბრიკები სკოლის ოფიციალურ გვერდზე ან/და სკოლის გვერდზე |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | სოციალურ ქსელში, შეტყობინება ელექტრონულ ფოსტაზე). |
| ინდიკატორი 4.1.1.3 | „მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე დ მკაფიო ხელშეკრულება.“ | სასურველია მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ჰქონდეს შაბლონური ხასიათი და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ინდივიდუალური ცვლილებები მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და კანონიერი უფლებების გათვალისწინებით. |
| ინდიკატორი 4.2.1.5 | „სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას“ | სასურველია სკოლამ დაამტკიცოს ბრძანებით მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი. |
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი) | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | სასურველია კურიულუმის ჩარჩოში თემების შესაბამისად მითითებული იქნას ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისად დამუშავდეს. |
| ინდიკატორი2.1.2.4 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია | სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით. |
| ინდიკატორი 2.2.2.1 | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით | სასურველია კურიკულუმის ჩარჩო გახადონ სრუყოფილი, შეივსოს ყველა ველი. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.2.2.4 | შეფასების სისტემა არის ვალიდური , გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ჩართონ მოსწავლეები. |
| ინდიკატორი 2.3.1.3. | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას საშუალებას | სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები (სპორტი) |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.3.2.3. | შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები | სასურველია უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას. |
| | | |
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)** | **რჩევა** |
| ინდიკატორი 2.1.2.1 | „შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას“ | სასურველია კურიკულუმში ჩასწორდეს თემები და სასწავლო რესურსები იმ სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში. |
| ინდიკატორი 2.1.2.3. | „სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს შესაბამისია“ | სასურველია დიფერენცირებული სწავლების პრინციპები უფრო ნათლად აისახოს სასწავლო კურიკულუმებშიც. |
| ინდიკატორი 2.1.2.4 | „განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გეძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს შესაბამისია“ | სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი  შეფასების რუბრიკები  თემების მიხედვით |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.2.2.4. | *„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო ობიექტური“* | სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო ობიექტური, სამართლიანი.<br>შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ჩართონ მოსწავლეები. |
| კომპონენტი 2.2 | კურიკულუმის განხორციელება | სკოლას მიეცა რჩევა, მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და შეიძინოს ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარი და რესურსები. |
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)** | **რჩევა** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.1.2.1 | „შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვის და განვითარების გზას“ | სასურველია კურიკულუმში ჩასწორდეს თემები და სასწავლო რესურსები იმ სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში. |
| ინდიკატორი 2.1.2.3. | „სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს შესაბამისია“ | სასურველია დიფერენცირებული სწავლების პრინციპები უფრო ნათლად აისახოს სასწავლო კურიკულუმებშიც. |
| ინდიკატორი 2.1.2.4 | „განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გეძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს შესაბამისია“ | სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით |
| ინდიკატორი *2.2.2.4.* | *„შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო ობიექტური“* | სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო ობიექტური, სამართლიანი. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ჩართონ მოსწავლეები. |
| ინდიკატორი 2.3.1.3. | „მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადჭრის გზას/საშუალებას“ | სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამაში მათ დაეხმარებათ ქოუჩინგის პროცესში მიწოდებული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსრუმენტის ნიმუშიდან შერჩეული ერთ-ერთი ინსტრუმენტი. |
| კომპონენტი 2.2 | „კურიკულუმის განხორციელება“ | სკოლას მიეცა რჩევა, მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და შეიძინოს ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარი და რესურსები. |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია სკოლის მისია და ხედვა. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთნ (სხდომის ოქმი #5 07.09.2023) და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე (სხდომის ოქმი #6 07.09.2023). სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

**სკოლის მისია:** სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მისია უზრუნველყოფს სწავლებისა და მოსწავლეთა აღზრდის მაღალ სტანდარტებს. ასევე ურთიერთთანამშრომლობას, ინოვაციურ და შემოქმედებითი სასწავლო გარემოს შექმნას, პროფესიულ ზრდას, მოზარდებში უფლებებისა და მოვალეობების ღრმად გააზრების პროცესს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, წიგნიერების დონის ამაღლებას, რაც მოზარდს მომავალში შესძენს ცოდნასა და კრიტიკული აზროვნების უნარებს.

**სკოლის ხედვა**: კურსამთავრებულთა უმეტესი ნაწილი იყოს კონკურენტუნარიანი კადრი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლა ზრუნავს, რომ მის ბაზაზე შექმნილი იყოს მუდმივ განვითარებაზე დაფუძნებული ცოდნის კერა და ხელს უწყობს თავისუფალი და შესაბამისი განათლებისა და უნარების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას. სკოლის ყველა მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სოციალურად უსაფრთხო გარემოში.

**სკოლის ღირებულებები:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სამართლიანობა,** რადგან სკოლა აღიარებს სამართლიანობის პრინციპს და საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის შესაბამისად.

**თანამშრომლობითი მართვა,** რადგან სკოლაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის ობიექტური, გამჭირვალე და მიუკერძოებელი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთვება ყველა მსურველი, რომელზეც აისახება ეს გადაწყვეტილება.

**პასუხისმგებლობა,** რადგან ყველა სუბიექტი-მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე იაზრებს პასუხიმგებლობას საკუთარი უფლებებისა და მოვალეობებიდან გამომდინარე.

**ეფექტურობა,** რადგან სკოლა ეფექტურად განკარგავს ფინანსურ, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, ორიენტირებულია შედეგზე და აფასებს პროფესიონალიზმს.

**პროფესიული განვითარება,** რადგან სკოლა მუდმივად ზრუნავს სკოლის პერსონალის პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, აფასებს გუნდურობასა და კოლეგიალობას.

**უსაფრთხოება,** რადგან სკოლა ქმნის უსაფრთხო გარემოს, იცავს ეთიკის ნორმებსა და შინაგანაწესს.

**შესაბამისად, „სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს" ინდიკატორი 1.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემო მოსწავლისათვის, მასწავლებლისა და მშობლისათვის. სკოლას 13.09.2023 წლის N 2-94 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი, სკოლას ჰყავს **უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება 02.09.2020 #2-61),** რომელიც ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე, სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირველად სამედიცინო მომსახურეობას. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, მორიგეობის მიხედვით მასწავლებლები გადანაწილებულნი არიან სკოლის მთლიან პერიმეტრზე. სასკოლო სივრცე ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებას. (სპორტდარბაზი, გარე მოედანი, ვრცელი დერეფანი, სათამაშო სივრცე ეზოში და სკოლის დერეფანში). დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა სოციალურ და პიროვნულ განვითარებაზე. სასწავლო პროცესში გათვალისწინებული და პრიორიტეტულია მოსწავლის ინტერესი და უკუკავშირი, მიღებულია მათი წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები. **დასტურდება** სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმებით. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტები, აქტივობები სასკოლო საზოგადოების ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით. გასულ წლებში განხორციელდა რამდენიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტი, რომელთა პრიორიტეტული თემები იყო: კულტურული მემკვიდრეობა, ჯანსაღი ცხოვრება და გარემოს დაცვა. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრება - ჯანსაღი სული და სხეული“, რომლის პრიორიტეტული თემა გახლდათ ჯანსაღი ცხოვრების წესი. აღნიშნული პროექტი წარმოდგენილი იყო ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში ჩატარებულ რაიონულ კონფერენციაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობა საფეხბურთო მატჩი პროექტში ჩართულ მეორე, მეზობელი მუნიციპალიტეტის სკოლასთან, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორი სკოლის მეგობრობას.

**შესაბამისად, „სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს” ინდიკატორი 1.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს შესაბამისია.**

**3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც ასახულია 2023/2024 სასწავლი წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და განხილულია მშობელთა, კათედრების და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მიღებულია ზეპირი უკუკავშირი, რაც შემდეგ გათვალისწინებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებისას. სკოლამ წარმოადგინა ელექტრონული კითხვარი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საიდანაც ირკვევა რომ სკოლას ჩატარებული აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისა და გზიარების მიზნით.

**შესაბამისად, „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით" ინდიკატორი 1.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის პედაგოგები, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი იცნობენ სკოლის მოქმედ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ასევე სკოლის ყველა თანამშრომელს/მშობლებს/მოსწავლეებს აქვთ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის საიტზე. სკოლამ წარმოადგინა ელექტრონული კითხვარი, საიდანაც ირკვევა რომ სკოლას ჩატარებული აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისა და გზიარების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ" ინდიკატორი 1.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, სკოლის სოციალურ ქსელში და საიტზე.

**შესაბამისად, „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი" ინდიკატორი 1.1.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**რჩევა: სასურველია სკოლამ გამოიყენოს საჯაროობის ალტერნატიული მექანიზმები, მაგ: გააჟღეროს მისია, ხედვა და ღირებულებები სხვადასხვა ღონისძიებაზე, გაუგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტით და სხვ.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონდებლობით გათვალისწინებულ ტერმინს. სკოლა ატარებს სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ზედა საქარის საჯარო სკოლის სახელწოდებას, რომელიც დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბრძანებით N112/ნ, 26.12.2022. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება სკოლის სახელწოდების შესახებ.

რჩევა: სასურველია სკოლამ განაახლოს ამონაწერი, სადაც ასახული იქნება სკოლის შეცვლილი სახელწოდება

**შესაბამისად, „სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს“ ინდიკატორი 1.1.1.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2023/2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. 2023/2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების ამსახველი პედაგოგიური საბჭოს ოქმი
3. ბრძანება სკოლისთვის სახელის მინიჭებაზე
4. სკოლის თანამშრომლების, მშობლების, მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარი (სკოლის ფილოსოფიის რევიზიის მიზნით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **02.09.2020 წლის** ბრძანება N 2-61 სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირისგანსაზღვრის შესახებ
6. 13.09.2023 წლის ბრძანება N 2-94 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის დამტკიცების შესახებ
7. ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“
8. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა
9. ელექტრონული კითხვარის ანალიზი მისია ხედვა ღირებულებების გაზიარების თაობაზე
10. განხორციელებული პროექტები/სადამრიგებლო პროგრამები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

#### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის 2-102 ბრძანებით. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინებს. სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. მეთოდოლოგიაში მოცემულია გაზიარების მექანიზმები (ვებ.გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ბეჭდვითი მასალები). მეთოდოლოგიაში მოცემულია ინფორმაციის გაზიარების სქემაც.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს" ინდიკატორი 1.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის #2 ოქმი, სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის #4 ოქმი. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნებია: სკოლის ორგანიზაციული განვითარება, სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, ინფორამციული ტექნოლოგიების განვითარება, სკოლის კომპიუტერიზაცია,სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. სკოლის შვიდწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსიფიას და შეიცავს მასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს.

**შესაბამისად, „სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს" ინდიკატორი 1.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია გასული სასწავლო წლის მიღწევები და შედეგები. სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს, რომლებიც შესაბამისობაშია შვიდ წლიან სტრატეგიულ გეგმასთან. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემული კონკრეტული ამოცანები და აქტივობები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში გათვალისწინებულია სკოლის თვითშეფსების შედეგები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მონიტორინგის შედეგები.

**შესაბამისად, ,,სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას“ ინდიკატორი 1.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სამოქმედო გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები, მიზნების შესაბამისი აქტივობები/შინაარსი, აქტოვობების/შინაარსის განხორციელებაზე პასუხისმგებლი პირები/სტრუქტურული ერთეულები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადები. ვადები არის რეალისტური. სამოქმედო გეგმაში **არ არის** ასახული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების **შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის ერთწლიანი გეგმა. შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ 01.02.2024 წ.-მდე პერიოდში სკოლა სამოქმედო გეგმაში გაწერს ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს.**

**შესაბამისად, „სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია“ ინდიკატორი 1.2.1.4** მეტწილად **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 20.09.2023 წლის #2-102 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. 28.04.2023 წლის #2-20 2-20 სკოლის სტრატეგიული განვითარებისგეგმის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი #2 ( 2023 წლის 22 თებერვალი ) სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის შეთანხმების თაობაზე
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი #4 (2023 წლის 23 თბერვალი) სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვის თაობაზე
5. სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა
6. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ წარმოდგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას (თავი 12. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება). მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. პირველი ალტერნატივა - სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს დრაივზე გაზიარებულ სამოქმედო გეგმის ფაილს და საქაღალდეს, სადაც გროვდება ანგარიშები და მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს დირექტორს, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრს და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. მეორე ალტერნატივა - სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის შეფასებისა და სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირების გაუმჯობესების მექანიზმი - მონიტორინგის განხორციელების პროგრამა. დოკუმენტში მოცემულია მონიტორინგის მიმართულებები, მონიტორინგის მიზანი, მონიტორინგის სუბიექტი/ობიექტი, მონიტორინგის ფორმა და ვადები. სკოლას ასევე 28.04.2023 წლის #2-20 ბრძანებით შექმნილი აქვს სკოლის სტრატეგიული განვითარებისგეგმის მონიტორინგის ჯგუფი.

**შესაბამისად „სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს“ ინდიკატორი 1.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში. მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებაც. სკოლა ასევე მუშაობს დოკუმენტზე „სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის შეფასებისა და სკოლის ფუნქციონირების გაუმჯობესების მექანიზმი - მონიტორინგის განხორციელების პროგრამა.“ სკოლის დირექციამ ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ მეთოდოლოგიის მიხედვით განახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამქომედო გეგმების მონიტორინგსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებას 2024 წლის იანვარში. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მონიტორინგის პრაქტიკა. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას, რადგან სკოლის საქმიანობა შეიცავს მაღალ საზოგადოებრივ ინტერესსა და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ანგარიშს აბარებდეს სასკოლო საზოგადოებას. სკოლას 28.04.2023 წლის #2-20 ბრძანებით შექმნილი აქვს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ჯგუფი.

**შესაბამისად „მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით“ ინდიკატორი 1.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების გაზიარებისა და დამტკიცების პროცესების აღწერა. მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას მოახდენს 2024 წლის იანვარში. სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს საჯაროდ გახდის 2024 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იანვარში. სკოლის ვებ.გვერდზე არის შესაბამისი გრაფა. სკოლაში არის მონიტორინგის განხორციელებისა და შდეგების გასაჯაროვების პრაქტიკა. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას. **შესაბამისად, „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა“ ინდიკატორი 1.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დადგემვის მეთოდოლოგიის თანახმად და სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოიყენება მოხდება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაანალიზდება, გაეცემა კითხვებს პასუხი, რა განხორციელდა დაგეგმილი აქტივობებით, რა არ განხორციელდა, რა შედეგს მიაღწია სკოლამ, რა გამოწვევების წინაშე დადგა სკოლა, გამოიკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებლი მხარე. სკოლა იზრუნებს შეინარჩუნოს მიღწეული შედეგის მდგრადობა და აგრეთვე დასახავს ინტერვეციებს გამოწვევებისა და გასაძლიერებელი მხარის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული შედეგების გათვალისწინება უზრუნველყოფს სკოლის შემდგომ განვითარებას. მას შემდეგ რაც სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს სკოლის დირექცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ამიტომ, ინდიკატორი 1.2.2.4 „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 20.09.2023 წლის #2-102 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. 28.04.2023 წლის #2-20 სკოლის სტრატეგიული განვითარებისგეგმის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
3. სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ** წარმოადგინა საშტატო ნუსხა, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა. სკოლას ჰყავს 36 თანამშრომელი. დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 25 მასწავლებელი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, ორი დარაჯი და ორი დამლაგებელი.

სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, როგორიცაა: საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებს 7 საგნობრივ ჯგუფს; სამეურვეო საბჭო, რომელიც არჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; პედაგოგიური საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინარული კომიტეტი; თითოეული სტრუქტურის მუშაობა მკაფიოდაა განსაზღვრული და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე, გეგმავენ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას , ჩატარებულ გაკვეთილებს განიხილავენ კათედრის სხდომებზე, იყენებენ კრიტიკული მეგობრი ინსტიტუტს. სამეურვეო საბჭო ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს დისციპლინურ კომიტეტსა და ბიუჯეტს, ითანხმებს ათი დეკემბრის ანგარიშს. ანგარიშს. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმას. მოსწავლეთა თვითმართველობა იძლევა რეკომენდაციებს საჭირო კლუბების ფუნქციონირების შესახებ, დირექციის მხარდაჭერით გეგმავს და აზარებს ღონისძიებებს. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს გადაცდომებს.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სკოლის დირექტორის 28.04.2023 წლის #2-19 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დამრიგებლის მუშაობის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, კათედრის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება,მრჩეველთა საბჭოს დებულება და ფუნქციები, პედაგოგიური საბჭოს დებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია/ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ექიმი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ტექ-პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. მკაფიოდაა განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლა კანონმდებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად აფორმებს ხელშეკრულებას სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულებთან, დოკუმენტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ივსება. ერთი დოკუმენტი რჩება სკოლაში, მეორე კი გადაეცემა შესაბამის მხარეს. პერსონალის უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია კანონმდებლობით და სკოლა უზრუნველყოფს მათთვის პირობების შეთავაზებას. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა ხელს უწყობს პერსონალს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობების სათანადოდ შესრულებას. მათ სკოლაში განსაზღვრული მოვალეობები ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში.

**შესაბამისად, ,,სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული“ ინდიკატორი 3.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლაში სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების და პასუხისმგებლობის განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, ამაში სკოლას ეხმარება სკოლის სამოქმედო გეგმა და ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც აფასებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და გასცემს უკუკავშირს. ასევე სკოლაში თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით და თითოუელი თანამდებობის შესაბამისი მოვალეობები გაწერილია დებულებებში. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. მოსწავლეთა თვითმართველობა იძლევა რეკომენდაციებს საჭირო კლუბების ფუნქციონირების შესახებ, დირექციის მხარდაჭერით გეგმავს და აბარებს ღონისძიებებს. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს გადაცდომებს.საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებს 7 საგნობრივ ჯგუფს; სამეურვეო საბჭო, რომელიც არჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; პედაგოგიური საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინარული კომიტეტი; თითოეული სტრუქტურის მუშაობა მკაფიოდაა განსაზღვრული და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საგნობრივი კათედრები მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე, გეგმავენ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას, ჩატარებულ გაკვეთილებს განიხილავენ კათედრის სხდომებზე, იყენებენ კრიტიკული მეგობრი ინსტიტუტს.

**შესაბამისად, „სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას“ ინდიკატორი 3.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ისქულის ბაზის გადამოწმება
2. საშტატო ნუსხა
3. საათობრივი ბადე
4. შინაგანაწესი
5. გასაუბრების შედეგები
6. 28.04.2023 წლის #2-19 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები
7. ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შესახებ
8. დამრიგებლის მუშაობის დებულება
9. დისციპლინური კომიტეტის დებულება
10. კათედრის დებულება
11. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
12. მრჩეველთა საბჭოს დებულება და ფუნქციები
13. პედაგოგიური საბჭოს დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. *სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის* საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება და გამომდინარეობს არსებული კანონმდებლობიდან: შრომის კოდექსი, საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსტიტუცია, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ზოგადი კანონმდებლობისა, სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები; სკოლამ წარმოაგინდა შინაგანაწესი, მასწავლებლებთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები და დებულებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულება აწესრიგებს მასწავლებლების შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის და მასწავლებლების საქმიანობას.

სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, ხდება პედაგოგების პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა. პედაგოგები იღბენ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწალებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესში.

**შესაბამისად, „პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; “ ინდიკატორი 3.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, შინაგანაწესი, რომელიც ეფუძნება შესაბამის კანონმდებლობას. ექსტრემალური სიტუაციის დროს სკოლა იყენებს ინტერვეციულ და პრევენციულ მართვის პოლიტიკას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოებას. თანამშრომლებისთვის ფუნქციონირებს სკოლაში გამოცხადებისა და სკოლიდან წასვლის სააღრიცხვო ჟურნალი. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის მექანიზმი, რაც გულისხმობს მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესში. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აკონტროლებს როგორც თანამშრომელთა, ასევე მოსწავლეთა და უცხო პირთა შემოსვლას. თვალსაჩინო ადგილზეა პირველადი დახმარების ტელეფონის ნომრები. თანამშრომლები პერიოდულად გადიან სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს. პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიღებისას ხდება უფლებათა დელეგირება, სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, კათედრები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ კომპეტენციის ფარგლებში. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც სისტემატურად აკვირდება მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, აძლევს მათ რჩევებს, რეკომენდაციებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობის გასაუმჯობესებლად. პრობლემური საკითხის გადაწყვეტა სკოლაში ხდება ურთიერთთანამშრომლობით, გუნდური მუშაობით.

**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.2 „სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადდთან ერთად ვებგვერდზე teachersjobs.ge. აღნიშნულ ვებ გვერდზე გამოცხადებული ვაკანსია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კომისიის შექმნის ბრძანება, ბრძანება კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.3 „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები. სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შინაგანაწესის მე-4-5 მუხლების შესაბამისად ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე , რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

1.პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.ფოტოსურათი ციფრული ფორმატით;

3.ავტობიოგრაფია/CV;

4.განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ნოტარიულად დამოწმებული);

5.კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები;

6.სერტიფიცირებული პედაგოგების შემთხვევაში შესაბამისი სერტიფიკატის დედანის ასლი ;

7.შრომითი ხელშეკრულებები;

8.ცნობა ნასამართლეობის შესახებ

**2020 წლიდან დასაქმებულების პირად საქმეში არ ინახება ცნობა სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ცნობა უფლების ჩამორთმევის თაობაზე.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობსი გეგმის მიხედვით 30.11.2023 პერიოდში სკოლა აღმოფხვრის ცნობებთან დაკავშირებულ პრობლემას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, პერსონალის პირადი საქმეების, საათობრივი დატვირთვის დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიპიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**შესაბამისად, ,,პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“ ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლაში სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პედაგოგებს ესწრება გაკვეთილებზე, აძლევს უკუკავშირს, პედაგოგებთან ერთად გეგმავს მიზნობრივ საჭიროებებს, რის შემდეგაც პედაგოგი სხვადასხვა ტრენინგებში, კონფრენციებში, სემინარებში მონაწილეობით, საკუთარ თავთან მუშაობით ახდენს პროფესიულ ზრდას. ხარისხის განვითარების ჯგუფი ადგენს კონკრეტული მასწავლებლის საჭიროებებსა და ეხმარება კვალიფიკაციის ამაღლებაში. აქტიურად ესწრება და ისმენს გაკვეთილებს, აძლევს უკუკავშირს, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებს. სკოლაში არის თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც გამოიხატება წარმატებული პრაქტიკისა და ტრენინგზე მიღებული ცოდნის გაზიარებით, ინოვაციების განხილვით, სწორედ ამ მაღალი კოლეგიალობის ხარჯზე ხდება საკუთარ ბაზაზე სკოლის განვითარება. უკუკავშირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კი ეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და მოტივაციის ამაღლებაში, პროფესიული საქმიანობის დაგეგმვაში.

**შესაბამისად, „პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს“ ინდიკატორი 3.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს ურთიერთდასწრება. წარმატებულ პრაქტიკას უზიარებენ ერთმანეთს, ურთიერთდახმარების მიზნით ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს მომიჯნავე საგნის პედაგოგები, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, ატარებენ ღონისძიებებს, წარმატებით ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა კათედრა. სასკოლო საზოგადოების მუშაობის ამსახველი მასალა თავსდება სოციალურ ქსელში სკოლის შესაბმის გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო გამოცდილების გაზიარება ასევე ხდება რაიონოლი და რეგიონალურ კონფერენციებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი“ ინდიკატორი 3.1.2.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პერსონალის პირადი საქმეები
2. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
3. შინაგანაწესი
4. კონკურსის გამოცხადების მასალები
5. მასწავლებელთა სერთიფიკატები
6. ისქულის ბაზის გადამოწმება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u>

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლა გამუდმებით ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ტარდება კათედრის სხდომები, რომელზეც იგეგმება ჩასატარებელი გაკვეთილების განრიგი. ადმინისტრაცია და ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვა-განხორციელებასა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ხარისხის ჯგუფი ესწრება და ისმენს გაკვეთილებს, აძლევს უკუკავშირს, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებს, აძლევს რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს ყველა წარმატების სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად. სკოლა აქიურად მონაწილებს ოლიმპიადებში, სასკოლო და რაიონულ ღონისძიებებში. პროექტის ფარგლებში სკოლამ ითანამშრომლა გელათის საჯარო სკოლასთან და ერთობლივად დაიგეგმა ფეხბურთის ჩემპიონატი, რომელმაც სასკოლო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მასწავლებლები ხშირად ესწრებიან სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ კონფერენციებში. სკოლა ჩართულია იუესაიდის პროექტში. ლიდერი მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს შემდეგ აცნობენ კათედრის წევრებს მიღებული ცოდნის საფუძველზე ატარებენ გაკვეთილებს და განსაზღვრავენ პროგრესს.

**შესაბამისად, ,,სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები“ ინდიკატორი 3.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის თანამშრომელთა პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. სკოლა მუდმივად ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ეს იქნება ტრენინგები, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, შეფასება და ურთიერთშეფასება. ტრენინგის შესარჩევად მასწავლებელი ითვალისწინებს საჭიროებებს, რომელიც გამომდინარეობს ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის და უკუკავშირის მიხედვით. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობის ინსტიტუტი. მასწავლებლები არა მარტო ესწრებიან სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ კონფერენციებს, არამედ წარმატებით მონაწილეობენ რაიონულ და რეგიონალურ კონფერენციებში. მასწავლებლები მუდმვად გადიან სავალდებულო და სხვა სახის ტრენინგებს.

**შესაბამისად, „პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას, მუდმივად ჰქონდეთ საშუალება პროფესიული განვითრების. ამას მოწმობს სკოლის ბაზაზე არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის ტრენინგები, გაკვეთილებზე დასწრება, გამოცდილი პრაქტიკის გაზიარება,ურთიერთდაკვირვება, სასწავლო ჯგუფების მიზანი არის სწავლისა და სწავლების გარკვეულ საკითხზე თვალსაწიერის გაფართოება დიალოგით, გამოცდილების გაზიარებით, ლიტერატურის გაცნობით. ხშირია სამუშაო შეხვედრები, კათედრის სხდომები, კლასის მასწავლებელთა დისკუსია. ეს პროცესები უწყვეტად მიმდინარეობს. მასწავლებლები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტში, გადიან, როგორც სავალდებულო, ასევე, დამატებით ტრენინგებს საჭიროებებიდან გამომინარე.(სკოლამ წარმოადგინა ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტები). სკოლა აქტიურად იყენებს კრიტიკული მეგობრის ფორმატს.

**შესაბამისად, ,,სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას“ ინდიკატორი 3.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.** სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოსთან. ინტერვიუდან დასტურდება, რომ ახალ თანამშრომელს სკოლის დირექციის წევრები აცნობენ შიდა ნორმებისა და რეგულაციებს. ახალი თანამშორემლი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. საქმისმწარმოებელი მიაწოდებს თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციას. საქმისმწარმოებელს ევალება ახალი თანამშრომლისთვის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (მაგალითად, დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში) შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლის თითოეული თანამშრომლისთვის შეთავაზებულია შესაბამისი სამუშაო სივრცე და გარემო. სკოლაში არის კეთილმოწყობილი სამასწავლებლო აღჭურვილი კომპიუტერებით და პრინტერით, სპეციალური სივრცე ბიბლიოთეკაში, ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და თითოეულ პედაგოგს აქვს მასზე წვდომა. მასწავლებლის მოთხოვნის საფუძველზე დირექცია უზრუნველყოფს მათ შესაბამისი რესურსებით და ეს ყველაფერი იძლევა საშუალებას პედაგოგებმა განახორციელონ ნებისმიერი ინოვაციური იდეა. სკოლაში მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა დაისახონ მიზნები და იდეები განახორციელონ. თითოეული მათგანის ინიციატივა მხარდაჭერილია. სკოლა ხელს უწყობს ახალი კადრების სოციალიზაციას. გასაცნობად ახდენს არაფორმალურ შეხვედრებს, რაც აადვილებს ურთიერთობას სასკოლო საზოგადოებასთან.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან“ ინდიკატორი 3.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის თანამშრომლები პერსონალის საჭიროებს აფიქსირებენ ზეპირსიტყვიერად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების მექანიზმი, სადაც გაწერილია წახალისების ფორმები. დირექციის მხრიდან მუდმივად ხორციელდება მასწავლებელთა მხარდაჭერის მექანიზმი სიტყვიერი მადლობის სახით. სკოლა მუდმივ მხარდაჭერას გამოხატავს ინიციატივებზე. სკოლას ბრძანებით აქვს დამტკიცებული **ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები,** რომელშიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები (ბრძანება 03.05.2023 #2-23).

**შესაბამისად, „წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები" ინდიკატორი 3.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი
2. ინტერვიუს შედეგები
3. ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის დებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 4. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას. დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

**შესაბამისად, „სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა, ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც აღწერილია მმართველობითი პროცესები. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც აღწერილია შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხიმგებლობა, მასწავლების/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, ,,იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები“ ინდიკატორი 3.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** სკოლის მიერ შემუშავებულ შინაგანაწესში აღწერილია სასკოლო საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესები. სკოლაში ყოველწლიურად იქმნება დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისიპლინურ გადაცდომებს. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებას განიხილავს სააპელაციო კომიტეტი, რომელიც იქმნება საჩივრის დაწერის შემთხვევაში. სასკოლო საზოგადოება თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებზე ინფორმირებულნი არიან დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი. საჯარო სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომია. თითოეულ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომლების და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები და საჩივრის მიმართვის პროცედურა. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **გასაჩივრების დეტალური პროცედურები** (21.09.2023 წ. #2-103).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, ,,სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა“ ინდიკატორი 3.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. *სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის* სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია პერსონალის/მოსწავლეების უფლება-მოვალეობები და ამ უფლება-მოვალეობების დაცვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა გასაჩივრების დეტალური პროცედურები. დოკუმენტებში განსაზღვრულია პერსონალის, მშობლების/კანონიერი წარმოამადგებლებისსს უფლებების დაცვის მექანიზმები, მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. სკოლაში მუშაობს დისციპლინარული კომიტეტი. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი (ბრძანება 13/09/2023 წ. #2-94).

**შესაბამისად, ,,სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“ ინდიკატორი 3.3.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.შინაგანაწესი

3.გასაჩივრების დეტალური პროცედურები (21.09.2023 წ.  #2-103)

4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (13.09.2023 წ. #2-88)

5. დისციპლინური კომიტეტის დებულება (13.09.2023 წ. #2-79)

6.ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი (13/09/2023 2-94)

7.მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ 13/09/2023 წ. #2-93)

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** სკოლას აქვს მართვის პროცესებთან საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლაში შემუშვებულია ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი მექანიზმები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, მიეწოდებათ საზოგადოებას ინფორმაცია ვებგვერდის, სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყენებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფების, საინფორმაციო დაფასა და ბუკლეტებს. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელს. ასევე მატერიალური სახით კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მშობელთა ინფორმიებულობას წერილის სახით.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები“ინდიკატორი 3.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე შექმნილი მასწავლებლის შიდა შეფასებისა და მისი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სადაც აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები.

აღნიშნული სტრუქტურულლი ერთეულების ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით. მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

**შესაბამისად, „უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა“ ინდიკატორი 3.3.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ინტერვიუს შედეგები

2.სკოლის სოციალური ქსელი

3.სკოლის ფოიეში გამოკრული მასალები

4. სტრუქტურული ერთეულების სამუშაო პროცესის ამსახველი მასალები (ოქმები)

5.მშობელთან ურთიერთობის დებულება (13/09/2023 #2-96)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლას შემუშავებული და დამტკცებული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით **ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი (13/09/2023 #2-94).** დოკუმენტში გაწერილია:ინფორმაციული დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, ადამიანების და პროცესების უსაფრთხოებოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი.სკოლამ წარმოადგინა დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებას მორიგე მასწავლებლებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის საშუალებით. მასწავლებელთა მორიგეობა ხორციელდება სკოლის მთელ პერიმეტრზე .უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს დარღვევების იდენტიფიცირებას და გონივრული ეჭვის საფუძველზე მოსწავლის დეტექტორით შეხების გარეშე ჩხრეკს. უსაფრთხოებაზე პაუხისმგებელი პირი პერიოდულად ხვდება და ესაუბრება მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს კრიზისული სიტუაციების დროს, როგორიცაა მიწისძვრახ ხანძარო და ა.შ. ასევე სკოლა მასპინძლობდა ორგანიზაციას რომელმაც სახალისო აქტივობებით აჩვენა მოსწავლეებს უსაფრთხების წესები. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს რეფერირების პროგრამა. ასევე სკოლას აქვს სამედიცინო ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტი, პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმით. სკოლა მუდმივად ახდენს პრევენცია ძალადობისადა ბულინგის წინააღმდეგ. მოსწვლეებმა გადაიღეს კლიპი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ,რომელიც აიტვირთა ჩვენს სოციალურ ქსელში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხდება სიმულაციების გათამაშება ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. **სკოლაში დამონტაჟებული არ არის კამერები.** სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები. დამრიგებლები ყოველი სასწავლო დღეს ახდენენ მოსწავლეების დასწრების მონიტორინგს და მოსწავლის არ გამოცხადების შემთხვევაში ატყობინებენ მშობლებს.ამ მიმართულებით სამომავლოდ ვგეგმვთ სათვალთვალო კამერების დამონტაჟებას. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნავს უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელი პირი. მის მიერ სისტემატურად ხორციელდება სკოლის პერიმეტრის დათვალიერება. სკოლის პერიმეტრის დათვალიერებაზე ასევე პასუხისმგებელია დარაჯი. წარმოდგენილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. დარაჯს ევალება შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლის ტერიტორია დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისგან. სკოლას დარეგულირებული აქვს უსაფრთხოებასთნ დაკავშირებული სკოლის ინფრასტრუქტურული თავისებურებების საკითხი: სკოლა მუდმივად აკონტროლებს მოსწავლეთა სკოლიდან გადინების პროცესს, სკოლის პერიმეტრზე არ შეიმჩნევა სამშენებლო ნაგვის/ნარჩენების და ნებისმიერი სხვა იმგვარი ნარჩენების საფრთხის შემცველი ობიექტების არსებობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, სკოლას აქვს ღობე და შეუძლებელია სკოლის ტერიტორიაზე ავტომანქანების გადაადგილება, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლის ეზო და გარე პერიმეტრის მოწესრიგებულია. ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს გარე პერიმეტრის მოწესრიგებაზე რათა თავიდან აიცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავალი ან სხვადასხვა ცხოველბის გადაადგილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუდან დასტურდება, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელნი არიან მორიგე მასწავლებლები და დამრიგებლები. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023/2024 სასწავლო წლის მორიგეობის განრიგი. (განრიგი გამოკრული იყო სამასწავლებლოში და სკოლის ფოიეში). დამრიგებლები დასვენებაზე მუდმივად იმყოფებიან სადამრიგებლო კლასებთნ. სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი. დროულად ხდება არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებლები მოსწავლეთა სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში უკავშირდებიან მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს და დირექციას. სკოლა არ უშვებს მოსწავლის სკოლიდან გასვლას, უნებართვოდ/კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მისი საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე. დაწყებითი კლასის მოსწავლეების სკოლიდან გაშვება ხდება მას შემდეგ რაც გამოცხადება მშობელი სკოლაში.

სკოლას **არ აქვს** უფლებამოსილ ორგანოსთან **შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ექიმის არსებობას სკოლაში. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი. წარმოდგენილია სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება. თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სამინისტროს, ცხელი ხაზის, მანდატურის სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნომრები. კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება ზემოთ აღნიშნული ტელეფონის ნომრებზე/უწყებებზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს/მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლას **არ აქვს** მიღებული **დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

**სკოლას არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.**

სკოლას გამოყოფილი **არ ჰყავს** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა 01.09.2024 პერიოდში უზრუნველყოფს ა) მდგრადობის დასკვნის მოპოვებას ბ) სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებას გ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას.

**რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა სკოლაში.**

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა, სპეციალურად გამოყოფილი პირი აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში, სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილება ხდება საშვის მეშვეობით. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება. სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექცია, მორიგე მასწავლებლები, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირებისთვის წარუდგენს სკოლის დირექტორს.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას" ინდიკატორი 3.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლას აქვს საშუალება მოსწავლეებს შესთავაზოს ფსიქოლოგიური მომსახურეობა. სკოლა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს რეფერირების გზით სთავაზობს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ მომსახურეობას. დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. სკოლა პრევენციისთვის იყენებს სასკოლო პროექტებს, სადაც აქტიურად არიან ჩართული რთული ფსიქო-ემოციური ბავშვები, რომლების ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ასევე სსსმ მოსწავლეები ჩართულია სხვადასხვა საკლუბო მუშაობაში. ტარდება საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა,ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; განხორციელებული კამპანიის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობის ამაღლებას სასკოლო ცხოვრებაში.სკოლა პრევენციისთვის იყენებს სასკოლო პროექტებს, სადაც აქტიურად არიან ჩართული რთული ფსიქო-ემოციური ბავშვები, რომლების ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ასევე სსსმ მოსწავლეები ჩართულია სხვადასხვა საკლუბო მუშაობაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება და სკოლას ჰყავს ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს“ ინდიკატორი 3.4.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესით. დამლაგებლების მიერ ხდება სველი წერტილების, კიბის სახელურების სველი წესით დამუშავება. ფოიეები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების პირობებში, ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა). დაწყებითი კლასების ოთახებში განთავსებულია ხელსაბანი ნიჟარები შესაბამისი ინვენტარით,რათა მოსწავლეებმა დაიცვან ჰიგიენური წესები გარდა ამისა, ექიმისა და დამრიგებლის თანამშრომლობით იმართება შეხვედრა ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმატებით განახორციელა პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი. სადაც მოსწავლეებლა მოაწყვეს ნახატების გამოფენა, გადაიღეს ვიდეორგოლი. ასევე პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა ეზოს დასუფთავება, რაც დღემდე გრძელდება და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. დამრიგებლის საათის ფარგლებშიც ხშირად ხდება საუბრები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. სკოლას შემუშავებული აქვს დამლაგებლის დებულება, სადაც გაწერილია მათი მოვალეობები. დირექციის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სასკოლო პირობების შემოწმება, დარღვევების გამოვლენა და მისი აღმოფხვრა. სკოლის საერთო სივრცეში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები ხელის დასამუშავებლად. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. *სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის* სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცების დაცვას. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში საჯაროდ მხოლოდ მშობელთა ნებართვით. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა ნებართვის ფორმები. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმიმწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით. სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური დაცვის მექანიზმები, რომელიც დაამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (19.09.2023 #2-86). მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალული მონაცემების დამუშავების მექანიზმი. დოკუმენტში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სტრატეგიები და სასკოლო საზოგადოების უფლებები პერსონალური ინფორმაციის თობაზე.
**შესაბამისად, „სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები" ინდიკატორი 3.4.1.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების ეფექტიანობას და მის ნიადაგზე ახდენს ახალი დამცავი მექანიზმების დამატებას. სკოლის უსაფრთხოების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება სკოლის დირექტორის, სამურვეო საბჭოს თავმჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან. მრჩეველთა საბჭო აკვირდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს, იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ, გეგმავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ აქტივობებს და მონიტორინგს უწევს აქტივობების განხორციელებას. ბოლო შეხვედრაზე იბარებს დირექტორის ანგარიშს სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ყველა შეხვედრაზე დგება შესაბამისი ოქმი. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმის ელექტრონული ვერსია სხდომის ჩატარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრს, გარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისა. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები.

**შესაბამისად, „სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის“ ინდიკატორი 3.4.1.7 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
2. მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება
3. მრჩეველთა საბჭოს ოქმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქციები
5. რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
6. პერსოლანული მონაცემების დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ - დაამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (19.09.2023 #2-86)
7. ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
8. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
9. დამლაგებლის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 300 მოსწავლეზე. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობის სქემა. შენობა არის 3 სართულიანი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სპორტ-დარბაზი, 12 საკლასო ოთახი და სველი წერტილები, დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, სკოლის კანცელარია, კომპიუტერული ლაბორატორია, არ აქვს სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებისთვის გამოყოფილია ოთახი, სამასწავლებლო, სკოლას ასევე აქვს რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის შენობაში არის ლიფტი და პანდუსი. სკოლის და გარე პერიმეტრი დათვალიერდა ვიზუალურად. სკოლას აქვს მოწესრიგებული ეზო. ეზო შეღობილია, ეზოს აქვს შემოსასვლელი ჭიშკარი. მატერიალური რესურსის მინიმალური ოდენობა შესაბამისია მოსწავლეთა ზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობისა. მიღება-ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათველიერებით დასტურდება, რომ ყოველ მოსწავლეზე სკოლაში არის ინდივიდუალური მერხი და სკამი, მინიმუმ 1 დაფა ყოველ საკლასო ოთახში, კარადები და დამხმარე ინვენტარი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთვსებულია სასწავლო მიზნებისთვის 15 კომპიუტერი. ყველა კომპიუტერები მუშაობს და აქვს ინტერნეტთან წვდომა. სკოლას აქვს პროექტორი და ეკრანი.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ ინდიკატორი 3.5.1.1 შეესაბამება სტანდარტებს.**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის პედაგოგებთან/დირექციასთან ინტერვიუს, სკოლის ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინფორმაციული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკის დებულება) დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არსებობს რეკრიაციული სივრცე (დერეფნები, ეზო). სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

**შესაბამისად, „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის“ ინდიკატორი 3.5.1.2 შეესაბამება სტანდარტებს.**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსი სკოლის შესასვლელში; სკოლას აქვს ლიფტი, რაც შესაძლებელს ხდის სართულებზე გადაადგილებას. სკოლას აქვს სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებული საპირფარეშო, სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

**შესაბამისად, „სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“ ინდიკატორი 3.5.1.3 შეესაბამება სტანდარტებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სასკოლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, რასაც უზრუნველყოფს სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ღია სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. სკოლას აქვს დიდი დერეფანი , სადაც მოსწავლებს შეუძლიათ შეკრება. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ ბიბლიოთეკაში არის გამოყოფილი სივრცე. პედაგოგები იყენებენ ბიბლიოთეკას სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცეები, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ შეკრება. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობები. კათედრებმა წარმოადგინეს წლიური ანგარიში სკოლაში განხორციელებული ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. პედაგოგები ადასტურებენ, რომ პროექტებსა და სასკოლო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

**შესაბამისად, „სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას“ ინდიკატორი 3.5.1.4 შეესაბამება სტანდარტებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. *სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის* საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სკოლის ბიბლიოთკაში არის სასკოლო სახელმძღვანეოების მინიმუმ ერთი ეგზემპლარი. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. სკოლის ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა ჩანაწერები, რითიც დასტურდება მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბიბლიოთეკით სარგებლობა. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რუკები, პლაკატები, ბიოლოგიის მულაჟები, ფიზიკის ხელსაწყოები, ქიმიური რეაქტივები.

**შესაბამისად, „სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)" ინდიკატორი 3.5.1.5 შეესაბამება სტანდარტებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ვიზუალური დათვალიერება

2.მიღება-ჩაბარების აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ვიზუალური დათვალიერებით და ბუღლტრის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერები საკმარისია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის. ადმინისტრაციისა და დირექციის სამუშო ოთახებში განთავსებულია კომპიუტერები და პრინტერი. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კომიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლას აქვს 1 პროექტორი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. 20 პორტატული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალური კომპიუტერი, 6 ლეპტოპი, 2 პრინტერი. მთელი შენობა დაფარულია უსადენო ინტერნეტით ( WI-FI). სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითრების გეგმა.

**შესაბამისად, „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას" ინდიკატორი 3.6.1.1 შეესაბამება სტანდარტებს.**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მიღება-ჩაბარებებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერულ ლაბორატორიით სარგებლობის წესი (13.09.2023 ბრძანება #2-90). ლაბორატორიით სარგებლობის წესი გამოკრულია ლაბორატორიაში. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია უსადენო ინტერნეტით ( WI-FI ) სკოლამ წარმოადგინა სქულბოქსი. სკოლამ ასევე წარმოადგინა ციფრული განვითრების გეგმა. ციფრული განვითრების გეგმის მიხედვით და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება სასკოლო სივრცეში მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.6.1.2 შეესაბამება სტანდარტებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კომპიუტერის მიღება-ჩაბარება
2. ვიზუალური დათვალიერება
3. ინტერვიუს მასალები
4. კომპიუტერულ ლაბორატორიით სარგებლობის წესი (13.09.2023 ბრძანება #2-90).

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესის მიხედვით, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი. სკოლამ წარმოადგინა საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის N2-87 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი და დებულება ბრძანებით. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით და სკოლის აქტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას და კანონმდებლობის დაცვას. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა. ხდება შემოსული დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირადი საქმის წარმოება. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები, პერსონალის პირადი საქმეები. დოკუმენტაცია წარმოებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

**რჩევა: სასურველია დამრიგებლების შევსებულ იქნას მოსწავლეთა პირადი საქმეები სრულყოფილად (პირადი საქმის გვ.2)**

**შესაბამისად, „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;“ ინდიკატორი 3.6.2.1 შეესაბამება სტანდარტებს.**

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (e-flow). ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsofr Outlook.

   **შესაბამისად, „სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“ ინდიკატორი 3.6.2.2 შეესაბამება სტანდარტებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზუალური დათვალიერბით დასტურდება, რომ სრულყოფილად კანონით დადგენილი ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილად არის ასახული.

   **შესაბამისად, „სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;“ ინდიკატორი 3.6.2.3 შეესაბამება სტანდარტებს.**

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს.

   **შესაბამისად, „სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.“ ინდიკატორი 3.6.2.4 შეესაბამება სტანდარტებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. 2023 წლის 13 სექტემბრის N2-87 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი და დებულება
2. საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება
3. ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძანება 28.04.2023 N2-19)
4. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის სკოლის პროფილის დათვალიერება
5. ისქულის და იფლოუს დათვალიერება
6. რეგისტრაციის ჟურნალები/ბრძანებების წიგნების დათვალიერება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ფეისბუქ გვერდის (სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ), ელექტრონული ჟურნალის, „თიმსის" საგანმანათლებლო პლატფორმის, სოციალურ ქსელში მშობელთა ჯგუფების, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. სკოლას ასევე აქვს https://skolebi.emis.ge/ ზე ვებ გვერდი. სკოლას აქვს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბერს დამტკიცებული N2-106 ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის შესახებ. დოკუმენტში გაწერილია სკოლის უფლებები და ვალდებულებები. სკოლა ვალდებულია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები. ვებ.გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის სოციალურ ქსელში სკოლა მუდმივად ათავსებს მიმდინარე სიახლეების, აქტივობების, პროექტების, სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციას.

**რჩევა:სასურველია სკოლამ ვებ.გვერდზე განათავსოს სკოლის სტრუქტურა, სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა და 1 წლიანი განვითარების გეგმები.**

**შესაბამისად „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით" ინდიკატორი 3.6.3.1 შეესაბამება სტანდარტებს**

2. **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან** ინტერვიუს შედეგად და სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით დასტურდება, რომ დირექცია/პედაგოგები უზრუნველყოფენ სკოლაში მიმდინარე აქტივობებისა და საქმიანობის, მათ შორის სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარ ინფორმაციას ავრცელებენ; დაწესებულება არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად „სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;" ინდიკატორი 3.6.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ **სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლის დირექცია/პედაგოგები უკუკავშირს იღებენ მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლათფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**რჩევა: სასურველია ვებ გვერდზე/სოციალურ ქსელში განათავსოთ გამოკითხვის ფორმები, რაც მისცემს დაინტერესებულ პირებს კომენტარის დაფიქსირებისა თუ წერილის მიწერის საშუალებას.**

**შესაბამისად „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად" ინდიკატორი 3.6.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი. სკოლის ვებ გვერდზე არის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

**შესაბამისად „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“ ინდიკატორი 3.6.3.4 არის დაკმაყოფილებული.**

5. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი. ვებ. გვერდძე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები,საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლა 2023/2024 სასწავლო წლის განმავლობაში ვებ.გვრდზე განათავსებს შემდეგ ინფორმაციას: სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოაქვეყნებს სასწავლო წლის ბოლოს.

**შესაბამისად „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია." ინდიკატორი 3.6.3.5 არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის სოციალური ქსელი - Facebook
2. სკოლის ვებ გვერი - სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
3. 2023 წლის 21 სექტემბერს დამტკიცებული #2-106 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლა ფინანსურად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები. აღჭურვოს იმ რესურსით, რაც აუცილებელია სკოლის განვითარებისა და დასახული მიზნების მისაღწევად. წარმოდენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლამ წარმოადგინა ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები.

**შესაბამისად, „სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება“ ინდიკატორი 3.7.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეორვეო საბჭოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლისათვის საჭირო შესყიდვები ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთბს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან.

სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბურალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს.

დირექტორი სკოლის ფულადი სახსრების რაციონალურად განკარგვისთვის წინასწარ ადგენს ფინანსურ გეგმას, სამეურვეო საბჭო ითანხმებს ამ გეგმას და თვალყურს ადევნებს მის განკარგვას.

შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში, ბაზრის კვლევის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა“ ინდიკატორი 3.7.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საპროგნოზო ბიუჯეტი
2. ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
3. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლას ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკურ უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელიც სამუშაო პროცესში ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებს და შესაძლებლობებს. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ზრუნავს თითოეული მოსწავლის უფლების დაცვაზე. სკოლა წარმატებით მუშაობს ინკლუზიური განათლების მიმართულებით, არსებობს სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახი, სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი, რომელიც თითოეულ საგნის მასწავლებელთან ერთად იმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და აზიარებს საკუთარ პრაქტიკას რაიონულ და რეგიონალურ კონფერენციაზე. სკოლა ადაპტირებულია სსსმ პირებზე(ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო). სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 21.09.2023 წლის #2-105 ბრძანებით დამტკიცებუი მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, 13.09.2023 წლის #2-94 ბრძანება ადამაინებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი, 13.09.2023 #2-93 ბრძანება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი. სკოლას აქვს 21.09.2023 წლის 2-103 ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების დეტალური პროცედურები. დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

**შესაბამისად, ,,სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;“ ინდიკატორი 4.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ სასკოლო სივრცეში (საინფორმაციო დაფა). სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე ხდება აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა. დამრიგებლები კლასის საათის დროს სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ.

**შესაბამისად, „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან“ ინდიკატორი 4.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები.ხელშეკრულებები შაბლონური ხასიათისაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა: სასურველია მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ჰქონდეს შაბლონური ხასიათი და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ინდივიდუალური ცვლილებები  მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და კანონიერი უფლებების გათვალისწინებით.**

**შესაბამისად, „მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.“ ინდიკატორი 4.1.1.3  სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი
2. ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი  სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ
3. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება (2023 წლის 13 სექტემბრის 2-81 ბრძანება)
4. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. გასაჩივრების დეტალური პროცედურები (2023 წლის 21 სექტემბრის ბრძანება #2-103)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. მოსწავლის გარემოსთნ ადაპტაციის მექანიზმი (2023 წლის 21 სექტემბრის ბრძანება #2-105)
7. 21.09.2023 წლის #2-105 ბრძანებით დამტკიცებუი მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი,
8. 13.09.2023 წლის #2-94 ბრძანება ადამაინებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი,
9. 13.09.2023 #2-93 ბრძანება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

**1.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც არის სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (2023 წლის 13 სექტემბრის ბრძანება 2-89). სკოლამ ასევე წარმოდგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერებისა ბრძანებები. მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად, მოსწავლის მობილობა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მობილობის წესი“ შესაბამისად. სკოლა დროულად ახდენს მშობლის ინფორმირებას მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერებამდე დამრიგებლები ინფორმაციას აწვდიან მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს გაცდენილი საათების რაოდენობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ წერილობით. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და თავად მოსწავლეებისთვის.

**შესაბამისად, „სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები“ ინდიკატორი 4.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს და ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, მობილობობა ხორციელდება კანონდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით. საფეხურის დამთავრების,ექსტერნების გამოცდების,პირველ კლასში მოსწავლეთა მიღებისა და მობილობის წესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საფეხურის დამთავრებისთანავე იკრიბება პედაგოგიური საბჭო. სხომაზე განიხილება მოსწავლეთა საბოლოოო აკადემიური მოსწრების შესახებ, რაც აისახება პედსაბჭოს ოქმში, რის საფუძველზეც საფეხურის დაძლევის შესახებ გამოსცემს ბრანებას დირექტორი. სკოლაში საინფორმაციო დაფაზე არის განთავსებული პირველ კლასში მოსწავლის მიღების წესები,ინფორმირებული არიან მშობლები და მოსწავლეები მობილობის შესაძლო თარიღების შესახებ,რომელიც ასევე განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლის მობილობა ხდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე და სკოლა ახორციელებს კანონით დადგენილ პროცედურებს.

**შესაბამისად, „სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს“ ინდიკატორი 4.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს წარუდგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია საგნობრივი გამოცდების, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ. ინფორმაცია გაზიარებულია სკოლის სოციალურ ქსელში, სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე გამოყოფილია შესაბამისი გრაფა. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხოურ ენას. არაფორმალური მომსახურების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მუშაობას. სკოლაში ფუნქციონირებს მეწარმეობის კლუბი. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე ფუნქციონირებს წრე, რომლის მიზანია **საგუნდო მუშაობის პოპულარიზაცია, მოსწავლეთა ინტერესის გაზრდა და წრის მუშაობის ფარგლებში რამდენიმე საგუნდო სიმღერის შესწავლა.** სკოლა ჩართულია რაგბის ფედერაციისა და განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილ ერთობლივ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს რაგბის სახალისო გაკვეთილების ჩატარებას. პროცესს წარმართავს რაგბის ფედერაციის წარმომადგენელი. სკოლას აქვს სასკოლო პროექტების განხორციელების პრაქტიკა. არსებული მომსახერების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლის სოც.ქსელის საშუალებით. სკოლაში არსებული წრეები და კლუბები ფუნქციონირებს შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის მუშაობა გამჭირვალეა, განახლებული და არადისკრიმინაციური. რადგან დასწრება თავისუფალია, სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია სამუშაო პროცესში ჩართვა. სკოლის კლუბებში ჩართულნი არიან სსსმ მოსწავლეები, რაც ხელს უწყობს მათ სოცილიაზაციას და ინტეგრაციას საზოგადოებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი“ ინდიკატორი 4.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4.სსიპ ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის** საჯარო სკოლის პედაგოგებთან/დამრიგებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაციას მოსწავლეებს აწვდიან კლასის დამრიგებლები, გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში მიმდინარე პროგრამებში, სერვისებში, აქტივობებში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველა მოსწავლეს მათი სურვილის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ვებ.გვერდი. 2023/2024 სასწავლო წელს სკოლა ინფორმაციას პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ გამოაქვეყნებს სკოლის ვებ.გვერდზეც.

**შესაბამისად, „სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული“ ინდიკატორი 4.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდე-ბა (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მოსწავლის ჩარიცხვის,ამორიცხვის ბრძანებები
2. საშუალო/საბაზო საფეხურის დაძლევის ბრძანებები
3. ექსტერნატის დაძლევის ბრძანება
4. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის“(2023 წლის 13 სექტემბრის ბრძანება 2-89 )
5. შინაგანაწესი
6. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული მასალები
7. სკოლის სოციალური ქსელის/ვებ გვერდის დათვალიერება
8. კლუბის მუსაობის დებულება

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. ყველა მომდევნო აქტივობა იგეგმება წინარე ცოდნის გათვალისწინებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების დასადგენად მუდმივად ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეგებს შორის თანამშრომლობა, ურთიერთდასწრება, პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება, იღებენ უკუკავშირს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს.

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.საგნობრივი კურიკულუმები*

*2. თემატური მატრიცა*

*3. პროექტები*

*4.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*

*5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*

*6. კათედრის ანგარიში*

*6. თვითშეფასების ფორმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*7. ინტერვიუ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. წარმოდგენილ კურიკულმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეების მიხედვით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, რომ აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში. ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე დგინდება პროექტისთვის პრიორიტეტული თემა. მოსწავლეთა ჩართულობით პროექტის მართვის ჯგუფი გეგმავს და ახორციელებს წინასწარ შემუშავებულ აქტივობებს. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი „დამიცავი და დაგიცავ" , რომლის პრიორიტეტული თემაა გარემოს დაცვა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კლუბები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართვას არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში კლუბების და კათედრების მიერ იგეგმება სხვადასხვა ტიპის ღონიძიებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას.

სკოლამ განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის მიზნობრივად და შედეგიანად წარმართვისა. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებთან დაკავშირება და მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების სწორი მიმართულებით წარმართვა, მასწავლებლებმა ისაუბრეს მსგავსი ხასიათის დავალებების განხორციელების ეტაპების შესახებ და აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაცია აქტიურდება, როდესაც საკუთარ მოსაზრებებს ღიად და თავისუფლად გამოხატავენ.

წარმოდგენილი კურიკულუმები, შერჩეული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები, , განხორციელებულიპროექტები, უკავშირდება ფიქრის, ძიების, მსჯელობების და შექმნის პროცესს, რაც ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წრეებში. რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია.**

2. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის გაწერას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

პედაგოგების მიერ საკუთარი საგაკვეთილო პრაქტიკის აღწერით ჩანს, რომ, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აშენებს ახალს. რაც აადვილებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედაგოგებს აქვთ სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა.

. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია კომპლექსური ბუნების დავალებები, შესაბამისი თემატური ბლოკები, რომლებიც თავისი შინაარსით დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე და ახდენს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს და დიაგრამებს, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას საკითხის სიღმისეულად გააზრების. სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რის საუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები.

საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად განახორციელონ გაწერილი კომპლექსური დავალებები მომავალ სასწავლო წელს.

**2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

.როგორც მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნა,. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან სახალისო და საინტერესო აქტივობებში რომლებიც მათ საშუალებას აძლევს და ეხმარება ნასწავლის გაანალიზებასა და შეფასებაში. სკოლისაგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისა.

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რამ შეუშლა ხელი და რატომ? რას გააკეთებს სხვანაირად შემდეგში , ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გაცნობიერებაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეების იყენებენ თვითშეფასების და ურთიერშეფასების რუბრიკებს .

პედაგოგებს ესმით და გათავისებული აქვთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ამ უნარებზე მუშაობა ყველა საფეხურზე შესაძლებელია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს პრაქტიკა და პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ მხარი დაუჭირონ მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, განსაკუთრებით კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებისას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლის პროცესზე. პრინციპი - სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების სახით. დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალების შესრულებისას პედაგოგები არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს. კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მეტად მოსწონთ თავიანთ ძლიერ მხარეებზე საუბარი, ვიდრე სუსტ მხარეებზე. თუმცა დავალების შესრულების შემდეგ ძუნწად, მაგრამ მაინც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, რომ მომავალში მათი მხრიდან ხელი შეეწყოს მოსწავლეებში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების აქტიურად დანერგვას.

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია**

4. შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა , რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ახალი მასალის ახსნისას, პრაქტიკული მიმართულებით, ის ჯერ უხსნის მოსწალეს თემაში ცალკეულ ტექნიკურ ელემენს, თავად ასრულებს მას, შემდეგ მოსწავლეს ამეორებინებს და ბოლოს მოსწავლეს ჩართავს პროცესში მიღებული ცოდნის გასამყარებლად და გამოსაყენებლად. პედაგოგებს აქვთ მზაობა სამომავლოდაც ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისათვის.

კურიკულუმებში წარმოდგენილი თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტ- მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, თავისი ბუნებით ავტომატურად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ასევე სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რომლის ფარგლებში განხორციელდა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და აქტივობები, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. შესაბამისად, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება წარმართოს სასწავლო პროცესი , რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში.

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედერული, პირობისეული) - შესაბამისია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური ბლოკები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ასევე სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაერთიანებას და ორგანიზებას.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

კურიკულუმზე და კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. დაწყებითი კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელშიც ერთამნეთთან დაკავშირებულია სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენა და მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალების პროდუქტი. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ გეგმავს ინტეგრირებულ გაკვეთილებს კოლეგებთან, რათა მოხდეს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.საგნობრივი კურიკულუმები*

*2.სასკოლო  პროექტები*

*3. შეფასების რუბრიკები*

*4.თვითშეფასების ფორმა*

*5. თემატური მატრიცა*

*6.სადამრიგებლო პროგრამა*

*7. მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*8. ინტერვიუ*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, კერძოდ, სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ნათლად ჩანს სამიზნე ცნების, ქვეცნებისა (კერძო) და საგნობრივი საკითხის ურთიერთკავშირი. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოადგენილი ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩო სრულყოფილად არ არის გაწერილი.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში წარმოდგენილია **გრძელვადიანი მიზანი** (შედეგი, სამიზნე ცნება) **შუალედური მიზანი** (კომპლექსური ბუნების დავალება) და კომპლექსური დავალების **განმავითარებელი შეფასება,** რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე).

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ხ[illegible]

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვლივიძე [illegible] ნ. [illegible] [illegible] მ. ანჯაფარიძე [illegible] [illegible]

სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით.

**მიეცა რჩევა** კურიკულუმის ჩარჩო გახადონ სრუყოფილი, შეივსოს ყველა ველი.

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია**

2. პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული.

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით უზრუბველყოფს ორგანიზებულობას და თვითკონტროლის უნარების გააქტიურებას , გააზრებას.

საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის სოციალური უნარების, საკუთარი ემოციების მართვის, ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების, არგუმენტირებუკლი მსჯელობის და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში განხორციელებული პროექტები, სადაც მოსწავლეებს უწევთ ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, გუნდური მუშაობა, ხელს უწყობს სოციალური უნარების გამომუშავებას , და შესაბამისად მოიაზრებს მისი პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ასევე ისაუბრეს, რომ მოსწავლეებისათვის საკუთარი პროდუქტის წარმოჩენა, პოზიტიური უკუკავშირის მიღება ხელს უწყობს მათში დადებით ფსიქო-სოციალური გრძნობების გააქტიურებას. ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და მოტივირებულები შემდგომი სამუშაოს შესრულებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შევსება და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების დროს იყენებენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარს, რაც მოსწავლეთა მრავალხრივ შეფასებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დაწყებულია სოლო ტაქსონომიით მოსწავლეთა განვითარების დონეების განსაზღვრა, მათი აზრით, ეს პროცესი საფუძვლიანად ვერ ხორციელდება და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ამ საკითხის განვითარებას.

სკოლის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, კოლეგების თქმით, ისინი ხშირად იყენებებ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის და აკადემიური მიღწევების ანალიზის ინსტრუმენტები, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში .ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლა-სწავლების პროცესი სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწორედ ამ მიზნით მასწავლებლებმა წარმოდგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ორიენტირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე – შესაბამისად მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე წერილობითი განმავითარებელი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები მასწავლებლებისაგან იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. შემაჯამებელ დავალებებზე კეთდება წერილობითი ანალიზი, რის შედეგაც დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვთარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - შესაბამისია**

4. გასაუბრებისას აღნიშნეს კოლეგებმა, რომ ისინი ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს დაგეგმილი კომპლესური დავალებისა თუ შემაჯამებელისათვის. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, აღინიშნა, რომ მომზადდა კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებიც კომპლექსური დავალების კრიტერიუმების შესაბამისად გაიწერა და რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მოსწავლეებსაც ჩართავდა ამ საქმიანობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მიეცა რჩევა** სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, ( მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ჩართონ მოსწავლეები.

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური , გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისი**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტების ვერიფიკაციის მექანიზმი. პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ, ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ შეფასების რუბრიკებს. ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც ზემოთ აღნიშნული შეფასების რუბრიკებით არის შეფასებული. ამასთან ერთად ხარისხის მართვის ჯგუფი გაკვეთილზე დასწრებისას აკვირდება დავალების შეფასების შესაბამისობას მოსწავლის ნაშრომთან. შემდეგ კოლეგები ერთად განიხილავენ უკუკავშირის საშუალებით დავალების და შეფასების რუბრიკის თავსებადობას. სამომავლოდ იგეგმება ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა, მოსწავლეთა ნამუშევრების ხანგრძლივი პერიოდით შენახვა და სვოტ ანალიზის გაკეთება.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნამუშევრების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქმნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტებით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან შესაბამის უკუკავშირს. ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალების ანალიზი.

**2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისია**

6. ამ ეტაპზე კათედრა მხოლოდ ერთი წლით ინახავს მოსწავლეთა ნამუშევრებს, მაგრამ, რადგან იგეგმება ვერიფიკაციის მექანიზმის სამომავლოდ დახვეწა და შემდგომ სვოტ ანალიზის გაკეთება, შეიქმნება მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც თავმოყრილი იქნება მათი ნამუშევრები, რათა უკეთ გაკეთდეს ანალიზი. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ...სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას . ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირდ საქმეში. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას.

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საგნობრივი კურიკულუმები

2. შეფასების რუბრიკები

3. განხორციელებული პროექტები

4. სასკოლო სასწავლო გეგმა

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. თვითშეფასების კითხვარი

8. ინტერვიუ

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე.

ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს მუდმივად უზიარებენ გამოცდილებასა და პრაქტიკას. პოზიტიური მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე ორიენტირებული არიან არამარტო მასწავლებლები, არამედ მშობლებიც.სკოლაში ფუნქციონირებს ე.წ მრჩეველთა საბჭო , რომელშიც გაერთიანებული არიან მშობლების წარმომადგენლები. ასევე პოზიტიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს თვითმართველობის მუშაობა და მათ მიერ წამოყენებული წინადადებების მხარდაჭერა/განხორციელება. პოზიტიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს სადამრიგებლო რგოლის აქტიური მუშაობა, იგივე ფუნქციას ასრულებს სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საწავლო პროექტები, რომელშიც ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება.

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც, კერძოდ, თემები, კონტექსტმაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში არსებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული აქტივობები, რაც კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ჯამდება განვლილი სასწავლო წლის შედეგები სასკოლო საზოგადოების წინაშე, რაც პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენაა მიმართული. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ.

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო შესაბამისია.**

2. სასწავლო კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და სხვა ღონისძიებები დაფუძნებულია მოსწავლეების ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე . ამასთან ერთად აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მიწოდებული მასალის სიღრმისეულ გააზრებას. შესაბამისად ხდება ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა და სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის მოდიფიცირება/ადაპტირება, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას.

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეები ჩართული არიან აქტივობების დაგეგმაში. სკოლაში განხორციელებულია პროექტები, ფუნქციონირებს კლუბები, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეებში თვითრეგულირებად ქცევას, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწვლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

**2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ხორციელდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს ,ერთობლივად მუშაობენ კომპლექსური დავალებების შექმნაზე და აქტიურად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტს.

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სხის პროექტები და ღონისძიებები, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა, მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა. სკოლაში ხორციელდება სამუშაო შეხვედრები და ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნთ.

კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), ურთიერთთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება. პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას.

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია**

4. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ადმინისტრაციისგან წახალისებულია და მხარდაჭერილია ყველა ის სასარგებლო ინიციატივა, რომელიც გაჩნდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას, აღნიშნული დადასტურებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

.სკოლის ადმინისტრაციისგან წახალისებულია და მხარდაჭერილია ყველა სასარგებლო ინიციატივა, რომელიც გაჩნდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლაში დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღონ პროექტებში, საკუთარი ინიციატივით დაგეგმონ ღონისძიებები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს თვითმართველობის ორგანო. მაგ. სწორედ მოსწავლეთა თვითმართველობის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, მოეწყოთ მოსწავლეთა ნამუშევრებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. *საგნობრივი კურიკულუმები*
2. *სასკოლო პროექტები*
3. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
4. *თვითშეფასების ფორმა*
5. *ინტერვიუ*
6. *ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი*
7. *ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. სკოლის თვითშეფასების ფორმის აღწერაში ჩანს რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას და მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კათედრის სხდომებზე განხორციელებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიის საფუძველზე ხდება შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა მოსწავლეების საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ მოხდება სამომავლოდ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.

სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია კომპლექსური დავალების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში ასახულია როგორ, რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და ასოცირდება კათედრის წევრების დირექციასთან ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ კვლევა და შეფასება წარიმართოს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერების მიზნით. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია**

2. სწავლის პროცესის მონიტორინგი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონაცემების დამუშავება ხდება კათედრის სხდომებზე. პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება გადანაწილებულია თითოეულ მასწავლებელზე. სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს, არის ურთიერთდასწრების პრაქტიკა , რაც ხელს უწყობს სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. ინტერვიუზე პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია პედაგოგები კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წარმატებებზე. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს და ეხმარება პროფესიულ განვითარებაში.

მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. სკოლაში რეგულარულად ხდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი, რომლის პასუხისმგებელია სასწავლო ნაწილი. ასევე ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება და მასწავლებლის საჭიროების დადგენის დროს, უცხადებს მხარდაჭერას, აძლევს შესაბამის უკუკავშირს და ეხმარება პროფესიულ განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია**

3. კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას , გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. პედაგოგები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერილობაში აღნიშნულია რომ , კათედრებზე მოხდება მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის გათვალისწინებით მიღებული შედეგების გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების ძიება , რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას.

**რჩევა სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები (სპორტი)**

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას საშუალებას შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საგნობრივი კურიკულუმები

2.კათედრის სხდომის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.ქოუჩინგის შეჯამების ფორმა

4.სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი

5.მასწავლებლებთან ინტერვიუები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორ დაინახოს მასწავლებელმა მოსწავლის პროგრესი, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის.

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი - შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

სკოლაში ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი იგეგმება წინა წლის გამოცდილებიდან. საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება.

მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურუკულუმების განხილვა და ზრუნვა მის განვითარებაზე მომავალშიც გაგრძელდება. კათედრა გაითვალისწინებს როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებას, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებით გაანალიზდეს რევიზიის შედეგები. კათედრების წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოდ აღნიშნული მიდგომების მიმართ თავისი მზაობა.

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **საგნობრივი კურიკულუმები**
2. **შეფასების რუბრიკები**
3. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**
4. **თემატური გეგმები;**
5. **თვითშეფასების კითვარი; მასწავლებლებთან ინტერვიუები**

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდართან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, მშობლის ბარათი, სოციალური ქსელი) მეთოდით.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებითაც აღინიშნა, რომ სკოლაში, კათედრები თანამშრომლობით შეიმუშავებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებს. სასწავლო თემების შერჩევისას ითვალისწინებენ სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებებს; სკოლის ინფრასტუქტურასა და საგნობრივ, საფეხურებრივ სტანდარტს. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებისა. მათ სამომავლოდაც გამოთქვეს მზაობა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება.

ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია როგორც კათედრის წევრები, ასევე სკოლის დირექცია, კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბართები მშობლებისთვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია თუ როგორ ხორციელდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების, ინტერესების და შეხედულებების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცის და ასევე გასაუბრების საფუველზე ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეთა ასაკობრივი შეასძლებლობები, ინეტერესები.

**2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო სზოგადოების ინტერესის , შეხედულებების, შესაძლებლობებისა დავპრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - შესაბამისია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე შედგა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი, რომელიც მორგებულია მოსწავლეების განვითარებაზე, აქტივობები დაგეგმილია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისთვის, შერჩეულია დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სკოლაში წარმატებით ხორციელდება არა მარტო სასკოლო პროექტები, ასევე მოსწავლეების და მშობლების თხოვნით სკოლაში ფუნქციონირებს საბავშვო თეატრი.

შერჩეული სასწავლო თემებით ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან., ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. შექმილი და წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება საგნობრივი სტანდარტებს და გამომდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან.

წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში,სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ ხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესები, კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეების განვითარებაზე, შერჩეულია ისეთი დავალებები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. მასწავლბელბემა ხაზი გაუსვეს,რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. სკოლას აქვს მზაობა იმის, რომ საჭიროებიდან გამომდინარე შეიტანონ ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების და მშობლების ინტერესები.

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - შესაბამისია**

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმი სამინისტროს მიერ მოწოდებული ნიმუშების მიხედვით. კურიკულუმის შედგენა იწყება სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების შეხვედრით, სადაც დგინდება მოსწავლეთა წინარე ცოდნა ,ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. მოსწავლეთა საჭიროებებს ვადგენთ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის იდეების გაცვლით. მაგ. მშობელთა კრებებზე , არაფორმალურ შეხვედრებზე, ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლა შეიმუშავებს კურიკულუმს, რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს პადაგოგიური საბჭო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს და თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ისინი ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებსა და სასკოლო თუ საკლასო აქტივობებს, არაფორმალური მიმართულებით გასამართ ღონისძიებებში ჩართულობას. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობენ სხვა კათედრებთანაც ( ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის შემთხვევაში). . სკოლამ აქვს მზაობა იმისათვის, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების მიხედვით, კურიკულუმის შედგენა იწყება სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების შეხვედრით, სადაც დგინდება მოსწავლეთა წინარე ცოდნა ,ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის , მშობელთა კრებებზე , კათედრის სხდომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე, რომლის გათვალისწინება ხდება კურიკულუმის შემუშავების დროს , რომელსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს პადაგოგიური საბჭო. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია , სადაც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: კურიკულუმის შედგენა იწყება სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების შეხვედრით, სადაც დგინდება მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. იგეგმება მშობელთა კრებაზე მასწავლებელების, მშობლების და ბავშვების დასწრება, რომ გათვალისწინებულ იქნას მათი აზრი და საჭიროების შემთხვევაში ერთობლივად დაიწყონ კურიკულუმის მოდიფიცირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდება სოციალური ქსელის მესენჯერის საშუალებით და სატელეფონო ზარით. ამ ეტაპისთვის მეტად დახვეწილი მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლას არ აქვს, მაგრამ მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება ყველა აქტივობა აიტვირთოს თიმსის პლატფორმის ველში, რათა უფრო ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლის თვითშეფასების ფორმაც მოწმობს, რომ შექმნილი კურიკულუმების და დაგეგმილ საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას და უკუკავშირს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე ქვეყნდება სხვადასხვა , მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ სკოლის ფოიეში სტენდის გაკეთებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოტ

ოები საგანში მიმდინარე პროცესებისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. პედაგოგები მშობლების ინფორმირებას ახორციელებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალური ქსელის და სატელოფონო ზარის საშუალებით. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები ატვირთულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე.

**2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.საგნობრივი კურიკულუმები*

*2. სასკოლო სასწავლო გეგმა*

*3. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*

*4. მშობელთა კრების ოქმი*

*5.თვითშეფასების ფორმა*

*6. პედსაბჭოს სხდომის ოქმი*

*7..ინტერვიუ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები.

**მიეცა რჩევა:** კურიულუმის ჩარჩოში თემების შესაბამისად მითითებული იქნას ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისა დამუშავდეს.

შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (როგორც პრაქტიკული , ასევე თეორიული მიმართულებით) გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა ინტერესებიც და შესაძლებლობებიც.

წარმოდგენილია კურიკულუმები, თემატური ბლოკები , კომპლექსური დავალებების იდეები, სასწავლო რესურსები რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების მატრიცები, განხორციელებული აქტივობები მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ შესრულებული ნამუშევრები, პრეზენტაციები. ამის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგვმისა და განვითარების გზას, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი სწავლების პრინციპები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, საგნის სიღრმისეულ გააზრებას.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის რესურსები, აპლიკაციები, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომელსაც მივყავართ პროდუქტამდე, რაც მოსწავლეს აძლევს განავითაროს შემომედებითი, პრობლემის აღმოჩენის და გადაჭრის, კრიტიკული უნარები. მოსწავლეები ამ პროცესში ჩართულობით უყალიბდებათ ახალი უნარ-ჩვევები. - შემუშავებულია

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია**

2. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, ძირითადად, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს სამიზნე ცნებებს, გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (6 უნარი) და საგნობრივი სტანდარტით მისაღწევ შედეგებს.

შემუშავებულ კურიკულუმებში გაწერილია ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, წარმოდგენილია ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითი შედარებისთვის. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, ხორციელდება პროექტები და საკლუბო მუშაობები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების ((კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია) განვითარებას, ამის საფუძველზე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა.

კურიკულუმის ჩარჩოში გამოკვეთილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, კურიკულუმი გაწერილია საგნობრივი სტანდარტისა და კურიკულუმის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მაღალი სააზროვნო უნარების სამიზნე ცნებები და შედეგები, გათვლილ ეტაპებს მოსწავლე მიჰყავს ცოდნის ეტაპობრივ აგებისკენ, სწავლების მიზანია, მოსწავლემ ტრანსფერი მოახდინოს რეალურ ცხოვრებაში და ეს ცოდნა გამოიყენოს არაფორმალური განათლების პროცესში. . კომპლექურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს მოეთხოვება პროდუქტის შექმნა, რაც მისგან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, ხელს უწყობს მოსწავლეში მრავალმხრივი უნარების: კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების, პრობლემის გადაჭრის, ეფექტური კომუნიკაციის, დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.2.2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) - შესაბამისია.**

3. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც სამოქმედო გეგმისა და თითოეული საგნის პედაგოგთან შემუშავებული ინდივიდუალური გეგმით წარმართავს სსსმ მოსწავლესთან სასწავლო პროცესს. არჩეული კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები და შესაძლებლობები, შესაბამისი რესურსებით და დამატებითი აქტივობებით იმართება სასწავლო პროცესი.

თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. ისინი იცნობენ დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მათ აქვთ მზაობა საგანში სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ითანამშრომლონ სპეცმასწავლებელთან.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მათში ასახულია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები. ასევე ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, კერძოდ მოსწავლეებისთვის არჩევანის შეთავაზებით ან კონკრეტული აქტივობის მოდიფიცირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიზანია, ყველა მოსწავლეს მიუწვდებოდეს ხელი ხარისხიან განათლებაზე, რომ სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და წარიმართოს მოსწავლეთა საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით, რაც კარგად ვლინდება კომპლექსური დავალებების შესრულებისას, კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, მათ პირად გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია მოვიაზროთ. მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი . სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც სამოქმედო გეგმისა და თითოეული საგნის პედაგოგთან შემუშავებული ინდივიდუალური გეგმით წარმართავს სსსმ მოსწავლესთან სასწავლო პროცესს.

**2.1.2.3. სასწავლო პრპცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს - შესაბამისია.**

4. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სთავაზობს მოსწავლეს შეფასების მრავალფეროვან მეთოდს, რათა შეფასება იყოს ყოვლისმომცველი და ამომწურავი. ამისთვის სკოლაში დანერგილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები (სწორი პასუხების შერჩევაზე ორიენტირებული ტესტები; თემატურ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები; ვრცელი წერითი ნამუშევრები); ამ ეტაპისთვის სკოლა ორიენტირებულია განმსაზღვრელ შეფასებაზე, თუმცა აღნიშნული პროცესების ანალიზის საფუძველზე მეტი აქცენტი გაკეთდება განმავითარებელ შეფასებაზე. იგეგმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ-მაგალითის მიმართ და განმსაზღვრელი რუბრიკის შექმნა საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის.

სკოლის მიერ შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თუმცა, იმისთვის , რომ შეფასების რუბრიკებში სრულად იყოს გათვალისწინებული ე.ს.გ. მოთხოვნები, სასურველია რუბრიკების შექმნა სახდასხვა სასწავლო თემების მიხედვითაც.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი, რომლებიც გამოიყენება კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ეტაპების სწორად წარმართვისათვის და ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში ასევე გამოიყენება თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ შეფასების დროს წინა პლანზე აყენებენ მოსწავლის საუკეთესო მიღწევებს, ფრთხილად მიუთითებენ ნაკლოვანებაზე და სახავენ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. მოსწავლეებს ასევე აძლევენ ზეპირი თვითშეფასების საშუალებას, ასევე აფასებენ ერთმანეთს. განმავითარებელ შეფასებას აწარმოებენ ესგ-დან გამომდინარე საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. კათედრების შეხვედრებისა და პედსაბჭოების დროს კოლეგები უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. შეფასების განსახორციელებლად მასწავლებლები მიმართავენ კონსტრუქტივისტულ აქტივობებს, როგორიცაა: პრეზენტაცია, დისკუსია, პროდუქტის შექმნა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ მიცემული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა.

**მიეცათ რჩევა,** რომ სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშავონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით.

**2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია.**

5. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში ყველა მომდევნო აქტივობა იგეგმება წინარე ცოდნის გათვალისწინებით. ეს ეხება კომპლექსურ დავალებებსაც. მოსწავლეთა შესაძლებლობების დასადგენათ მუდმივად მიმდინარეობს კოლეგებს შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, იღებენ უკუკავშირს. შემდეგ იმუშავებენ ახალ სასწავლო გეგმას, რომლის მოდიფიცირება არის შესაძლებელი საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლაში მიმდინარე პროექტების ფარგლებში იგეგმება აქტივობები რომლებიც წარმატებით ხორციელდება მომდევნო წელსაც. ეს ხელს უწყობს პროექტის მდგრად განვითარებას, ასევე ხდება წარმატებული პრაქტიკის გაზიარება სარაიონო და რეგიონალურ კონფერენციებზე. გასულ სასწავლო წელს ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლამ წარადგინა 2 თემა. სასწავლო პროექტი ჯანსაღი ცხოვრების შესახებ და ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის ოქმებით და ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. ისინი ცდილობენ მომავალი წლის კურიკულუმების შედგენისას შეიტანონ ის თემები , რომლითაც მეტად ინტერესდებიან მოსწავლეები.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სასკოლო კურიკულუმი აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპით და ითვალისწინებს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმის მიხედვით, გაკვეთილებზე ურთიერდასწრების ფარგლებში ხდება გამოცდილების გაზიარება და მისი გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში.

გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. ყველა მომდევნო აქტივობა იგეგმება წინარე ცოდნის გათვალისწინებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების დასადგენად მუდმივად ხდება კოლეგებს შორის თანამშრომლობა, ურთიერთდასწრება, პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება, იღებენ უკუკავშირს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს.

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.საგნობრივი  კურიკულუმები*

*2. თემატური მატრიცა*

*3.  პროექტები*

*4.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*

*5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*

*6. კათედრის  ანგარიში*

*6. თვითშეფასების ფორმა*

*7. ინტერვიუ*

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის განხორციელება**

**6.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. წარმოდგენილ კურიკულმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეების მიხედვით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, რომ აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში. ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე დგინდება პროექტისთვის პრიორიტეტული თემა. მოსწავლეთა ჩართულობით პროექტის მართვის ჯგუფი გეგმავს და ახორციელებს წინასწარ შემუშავებულ აქტივობებს. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი „დამიცავი და დაგიცავ“ , რომლის პრიორიტეტული თემაა გარემოს დაცვა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კლუბები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში კლუბების და კათედრების მიერ იგეგმება სხვადასხვა ტიპის ღონიძიებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას.

სკოლამ განსაზღვრა, რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური ბუნების დავალებებზე, ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რადგანაც, როგორც თავადვე აღნიშნეს ინტერვიუების დროს, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას პროდუქტი მას მოუწევს აქტივობებში ჩართვაც, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის მიზნობრივად და შედეგიანად წარმართვისა. მნიშვნელოვანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებთან დაკავშირება და მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების სწორი მიმართულებით წარმართვა, მასწავლებლებმა ისაუბრეს მსგავსი ხასიათის დავალებების განხორციელების ეტაპების შესახებ და აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაცია აქტიურდება, როდესაც საკუთარ მოსაზრებებს ღიად და თავისუფლად გამოხატავენ.

წარმოდგენილი კურიკულუმები, შერჩეული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები, , განხორციელებულიპროექტები, უკავშირდება ფიქრის, ძიების, მსჯელობების და შექმნის პროცესს, რაც ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო წრეებში. რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის გაწერას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

პედაგოგების მიერ საკუთარი საგაკვეთილო პრაქტიკის აღწერით ჩანს, რომ, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აშენებს ახალს. რაც აადვილებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედაგოგებს აქვთ სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა.

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია კომპლექსური ბუნების დავალებები, შესაბამისი თემატური ბლოკები, რომლებიც თავისი შინაარსით დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე და ახდენს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს და დიაგრამებს, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას საკითხის სიღმისეულად გააზრების. სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რის საუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები.

საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად განახორციელონ გაწერილი კომპლექსური დავალებები მომავალ სასწავლო წელს.

**2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია**

3. შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნა,. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან სახალისო და საინტერესო აქტივობებში რომლებიც მათ საშუალებას აძლევს და ეხმარება ნასწავლის გაანალიზებასა და შეფასებაში. სკოლისაგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისა.

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რამ შეუშლა ხელი და რატომ? რას გააკეთებს სხვანაირად შემდეგში , ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გაცნობირებაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეების იყენებენ თვითშეფასების და ურთიერშეფასების რუბრიკებს .

პედაგოგებს ესმით და გათავისებული აქვთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ამ უნარებზე მუშაობა ყველა საფეხურზე შესაძლებელია, სკოლას აქვს პრაქტიკა და პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ მხარი დაუჭირონ მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, განსაკუთრებით კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებისას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლის პროცესზე. პრინციპი - სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების სახით. დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალების შესრულებისას პედაგოგები არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს. კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მეტად მოსწონთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავიანთ ძლიერ მხარეებზე საუბარი, ვიდრე სუსტ მხარეებზე. თუმცა დავალების შესრულების შემდეგ ძუნწად, მაგრამ მაინც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, რომ მომავალში მათი მხრიდან ხელი შეეწყოს მოსწავლეებში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების აქტიურად დანერგვას.

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია**

4. შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა , რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ახალი მასალის ახსნისას, პრაქტიკული მიმართულებით, ის ჯერ უხსნის მოსწალეს თემაში ცალკეულ ტექნიკურ ელემენს, თავად ასრულებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მას, შემდეგ მოსწავლეს ამეორებინებს და ბოლოს მოსწავლეს ჩართავს პროცესში მიღებული ცოდნის გასამყარებლად და გამოსაყენებლად. პედაგოგებს აქვთ მზაობა სამომავლოდაც ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისათვის.

კურიკულუმებში წარმოდგენილი თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტ- მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, თავისი ბუნებით ავტომატურად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ასევე სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რომლის ფარგლებში განხორციელდა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და აქტივობები, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. შესაბამისად, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება წარმართოს სასწავლო პროცესი , რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედერული, პირობისეული) - შესაბამისია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური ბლოკები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ასევე სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაერთიანებას და ორგანიზებას.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

კურიკულუმზე და კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. დაწყებითი კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელშიც ერთამნეთთან დაკავშირებულია სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენა და მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტი. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ გეგმავს ინტეგრირებულ გაკვეთილებს კოლეგებთან, რათა მოხდეს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*1.საგნობრივი კურიკულუმები*

*2.სასკოლო პროექტები*

*3. შეფასების რუბრიკები*

*4.თვითშეფასების ფორმა*

*5. თემატური მატრიცა*

*6.სადამრიგებლო პროგრამა*

*7. მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრები*

*8. ინტერვიუ*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, კერძოდ, სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ნათლად ჩანს სამიზნე ცნების, ქვეცნებისა (კერძო) და საგნობრივი საკითხის ურთიერთკავშირი. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოადგენილი ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩო სრულყოფილად არ არის გაწერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმებში წარმოდგენილია **გრძელვადიანი მიზანი** (შედეგი, სამიზნე ცნება) **შუალედური მიზანი** (კომპლექსური ბუნების დავალება) და კომპლექსური დავალების **განმავითარებელი შეფასება,** რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე).

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით.

მიეცა რჩევა კურიკულუმის ჩარჩო გახადონ სრუყოფილი, შეივსოს ყველა ველი.

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პედაგოგთა მიერ საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული.

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით უზრუნველყოფს ორგანიზებულობას და თვითკონტროლის უნარების გააქტიურებას , გააზრებას.

საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის სოციალური უნარების, საკუთარი ემოციების მართვის, ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევების, არგუმენტირებუკლი მსჯელობის და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას. ასევე სკოლაში განხორციელებული პროექტები, სადაც მოსწავლეებს უწევთ ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, გუნდური მუშაობა, ხელს უწყობს სოციალური უნარების გამომუშავებას , და შესაბამისად მოიაზრებს მისი პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, ასევე ისაუბრეს, რომ მოსწავლეებისათვის საკუთარი პროდუქტის წარმოჩენა, პოზიტიური უკუკავშირის მიღება ხელს უწყობს მათში დადებით ფსიქო-სოციალური გრძნობების გააქტიურებას. ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და მოტივირებულები შემდგომი სამუშაოს შესრულებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია**

3. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების დროს იყენებენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარს, რაც მოსწავლეთა მრავალხრივ შეფასებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დაწყებულია სოლო ტაქსონომიით მოსწავლეთა განვითარების დონეების განსაზღვრა, მათი აზრით, ეს პროცესი საფუძვლიანად ვერ ხორციელდება და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ამ საკითხის განვითარებას.

სკოლის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, კოლეგების თქმით, ისინი ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის და აკადემიური მიღწევების ანალიზის ინსტრუმენტები, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში .ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწორედ ამ მიზნით მასწავლებლებმა წარმოდგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ორიენტირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე – შესაბამისად მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე წერილობითი განმავითარებელი შეფასება ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები მასწავლებლებისაგან იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. შემაჯამებელ დავალებებზე კეთდება წერილობითი ანალიზი, რის შედეგაც დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვთარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ არიან მოსწავლეები ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

**2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - შესაბამისია**

4. გასაუბრებისას აღნიშნეს კოლეგებმა, რომ ისინი ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს დაგეგმილი კომპლესური დავალებისა თუ შემაჯამებელისათვის. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, აღინიშნა, რომ მომზადდა კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებიც კომპლექსური დავალების კრიტერიუმების შესაბამისად გაიწერა და რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მოსწავლეებსაც ჩართავდა ამ საქმიანობაში.

**მიეცა რჩევა** სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, ( მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ჩართონ მოსწავლეები.

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური , გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტების ვერიფიკაციის მექანიზმი. პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ, ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ შეფასების რუბრიკებს. ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც ზემოთ აღნიშნული შეფასების რუბრიკებით არის შეფასებული. ამასთან ერთად ხარისხის მართვის ჯგუფი გაკვეთილზე დასწრებისას აკვირდება დავალების შეფასების შესაბამისობას მოსწავლის ნაშრომთან. შემდეგ კოლეგები ერთად განიხილავენ უკუკავშირის საშუალებით დავალების და შეფასების რუბრიკის თავსებადობას. სამომავლოდ იგეგმება ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა, მოსწავლეთა ნამუშევრების ხანგრძლივი პერიოდით შენახვა და სვოტ ანალიზის გაკეთება.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქმნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტებით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან შესაბამის უკუკავშირს. ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისია**

6. ამ ეტაპზე კათედრა მხოლოდ ერთი წლით ინახავს მოსწავლეთა ნამუშევრებს, მაგრამ, რადგან იგეგმება ვერიფიკაციის მექანიზმის სამომავლოდ დახვეწა და შემდგომ სვოტ ანალიზის გაკეთება, შეიქმნება მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც თავმოყრილი იქნება მათი ნამუშევრები, რათა უკეთ გაკეთდეს ანალიზი. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ...სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას . ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირდ საქმეში. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოების, პორტფოლიოების შენახვის უზრუნველყოფას.

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.საგნობრივი კურიკულუმები*

*2. შეფასების რუბრიკები*

*3. განხორციელებული პროექტები*

*4. სასკოლო სასწავლო გეგმა*

*5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი*

*7. თვითშეფასების კითხვარი*

*8. ინტერვიუ*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე.

ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს მუდმივად უზიარებენ გამოცდილებასა და პრაქტიკას. პოზიტიური მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე ორიენტირებული არიან არამარტო მასწავლებლები, არამედ მშობლებიც.სკოლაში ფუნქციონირებს ე.წ მრჩეველთა საბჭო , რომელშიც გაერთიანებული არიან მშობლების წარმომადგენლები. ასევე პოზიტიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს თვითმართველობის მუშაობა და მათ მიერ წამოყენებული წინადადებების მხარდაჭერა/განხორციელება. პოზიტიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს სადამრიგებლო რგოლის აქტიური მუშაობა, იგივე ფუნქციას ასრულებს სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საწავლო პროექტები, რომელშიც ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც, კერძოდ, თემები, კონტექსტმაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში არსებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული აქტივობები, რაც კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ჯამდება განვლილი სასწავლო წლის შედეგები სასკოლო საზოგადოების წინაშე, რაც პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენაა მიმართული. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ.

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო შესაბამისია.**

2. სასწავლო კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და სხვა ღონისძიებები დაფუძნებულია მოსწავლეების ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე . ამასთან ერთად აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მიწოდებული მასალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიღრმისეულ გააზრებას. შესაბამისად ხდება ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა და სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის მოდიფიცირება/ადაპტირება, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას.

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეები ჩართული არიან აქტივობების დაგეგმაში. სკოლაში განხორციელებულია პროექტები, ფუნქციონირებს კლუბები, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეებში თვითრეგულირებად ქცევას, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

**2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ხორციელდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს ,ერთობლივად მუშაობენ კომპლექსური დავალებების შექმნაზე და აქტიურად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტს.

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სხის პროექტები და ღონისძიებები, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა, მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა. სკოლაში ხორციელდება სამუშაო შეხვედრები და ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით.

კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), ურთიერთთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება. პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას.

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია**

4. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ადმინისტრაციისგან წახალისებულია და მხარდაჭერილია ყველა ის სასარგებლო ინიციატივა, რომელიც გაჩნდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას, აღნიშნული დადასტურებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

.სკოლის ადმინისტრაციისგან წახალისებულია და მხარდაჭერილია ყველა სასარგებლო ინიციატივა, რომელიც გაჩნდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლაში დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღონ პროექტებში, საკუთარი ინიციატივით დაგეგმონ ღონისძიებები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს თვითმართველობის ორგანო. მაგ. სწორედ მოსწავლეთა თვითმართველობის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, მოეწყოთ მოსწავლეთა ნამუშევრებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *საგნობრივი კურიკულუმები*
2. *სასკოლო პროექტები*
3. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
4. *თვითშეფასების ფორმა*
5. *ინტერვიუ*
6. *ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი*
7. *ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.

სკოლის თვითშეფასების ფორმის აღწერაში ჩანს რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას და მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კათედრის სხდომებზე განხორციელებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიის საფუძველზე ხდება შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა მოსწავლეების საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ მოხდება სამომავლოდ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია კომპლექსური დავალების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში ასახულია როგორ, რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და ასოცირდება კათედრის წევრების დირექციასთან ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ კვლევა და შეფასება წარიმართოს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირების, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერების მიზნით. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია**

2. სწავლის პროცესის მონიტორინგი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონაცემების დამუშავება ხდება კათედრის სხდომებზე. პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება გადანაწილებულია თითოეულ მასწავლებელზე. სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს, არის ურთიერთდასწრების პრაქტიკა , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. ინტერვიუზე პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქ. ხაჩი

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელოვანია პედაგოგები კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წარმატებებზე. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს და ეხმარება პროფესიულ განვითარებაში.

მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . სკოლაში რეგულარულად ხდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი, რომლის პასუხისმგებელია სასწავლო ნაწილი. ასევე ხარისხის მართვის ჯგუფი აკვირდება და მასწავლებლის საჭიროების დადგენის დროს, უცხადებს მხარდაჭერას, აძლევს შესაბამის უკუკავშირს და ეხმარება პროფესიულ განვითარებაში.

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია**

3. კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას , გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. პედაგოგები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ კათედრებზე მოხდება მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირის გათვალისწინებით მიღებული შედეგების გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება და გაუმჯობესების გზების ძიება , რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე.

მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა** სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები (სპორტი)

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას საშუალებას შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საგნობრივი კურიკულუმები

2.კათედრის სხდომის ოქმები;

3.ქოუჩინგის შეჯამების ფორმა

4.სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი

5.მასწავლებლებთან ინტერვიუები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორ დაინახოს მასწავლებელმა მოსწავლის პროგრესი, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები მოიაზრებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მათ მეტაკოგნიტური, პიროვნული, სოციალური უნარების გათვალისწინებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალი წყაროს საშუალებით: მასწავლებლის დაკვირვება, უკუკავშირი კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, თემისგან მიღებული ინფორმაცია.

საგნობრივი კურიკულუმები ისეა გაწერილი, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა სტრატეგია, როგორიც არის კითხვა-პასუხი, ტესტური დავალება და შემდგომ მისი ანალიზი, ზედაპირული დაკვირვება კოლეგა მასწავლებლის მხრიდან მიწოდებული უკუკავშირი, რაც ერთობლიობაში ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ვთქვათ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.

შეფასების სისტემა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. რადგან ყველა მოსწავლე ინდივიდუალური შესაძლებლობისაა, შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა მათ სთავაზობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ისეთ ფორმას, რომელიც მათ ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზეა მორგებული. ამისათვის სკოლა იყენებს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს : კითხვებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, ურთიერთშეფასებას და ა.შ.

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - შესაბამისი**

2. პედაგოგებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა, რომ შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას იძლევა. კომპლექსური დავალებებისა და პროექტული სწავლების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შექმნილია საინტერესო ნამუშევრები.

შეფასების დროს სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებსა და შესაძლებლობებს, აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: გასასვლელ ბარათები,მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება. მოსწავლეები ფასდებიან შემოქმედებით, თანამშრომლობითი, კომუნიკაციისა და სხვა უნარების მიხედვით.სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.

**2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - შესაბამისი**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით.

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის და ინტერესების განსაზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ  კლასის საათის ფარგლებში ხდება მოსწავლეთა გამოკითხვა მათი შეხედულებების და ხედვების დასადგენად, ასევე მშობელთა კრებებზე ხდება პრობლემური საკითხების განხილვა და ამ პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივად განხილვა.

სამომავლოდ სკოლა გეგმავს ამ პროცესების გაუმჯობესებას და დახვეწას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: ინტერვიუ, ანკეტირება, გამოკითხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც ინტერვიუდან ჩანს, პედაგოგები შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებება, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება და ა.შ. ხდება გამოკვეთილი პრობლემური საკითხების განხილვა და მონაცემების გაანალიზება. მოსწავლეთა ინტერესების კვლევას წინასწარ მომზადებული კითხვარების გაანალიზებითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით გეგმავენ.

**მიეცათ რჩევა** უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

**2.3.2.3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - შესაბამისია**

4. პედაგოგებთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ კათედრა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასისა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს. აღინიშნა, რომ მულტიფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან , იკვეთება, რომ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც, მოხდეს შეფასებისას ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდაში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის, მაგალითად სადიაგნოსტიკო შესაფასების შედეგების ანალიზი.

მოსწავლეთა შეფასება ხორცილდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით . მაგ, რამდენად იყო შესასწავლი საკითხი და სასწავლო პროცესი ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე. რამდენად ეფექტური იყო მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების სტრატეგიები და რესურსები, რამდენად ინკლუზიური იყო სასწავლო გარემო, გათვალისწინებული იყო თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და როგორი იყო მოსწავლის სოციალურ-ემოციური ფონი.

პედაგოგებთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ კათედრა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასისა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს. აღინიშნა, რომ მულტიფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შეფასების რუბრიკები
2. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
3. *თვითშეფასების ფორმა*
4. *ინტერვიუ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, მაგრამ აქვთ მზაობა და აპირებენ შექმნან სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები, პასუხისმგბლობების დელეგირება, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების და ა. შ .

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება კათედრის წევრების მონაწილეობით. ისინი ერთმანეთს აცნობენ საკუთარ გამოცდილებას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ. ამ გზით გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. მონაცემთა ანალიზზე და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით განისაზღვრება რეკომენდაციები, რაც სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში იქნება გათვალისწინებული.

სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება შეხვედრა კურიკულუმის განსახილველად. მასწავლებლები გაუზიარებენ ერთმანეთს ამა თუ იმ კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილებას, საკუთარ პრაქტიკას, თუ რომელმა კომპლექსურმა გამოიწვია მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და გაითვალისწინებენ შემდეგი წლის კურიკულუმში. სკოლას აქვს მზაობა შექმნას სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც გაუწევს მონიტორნგს კურიკულუმის დანერგვის პროცესს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის.

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი - შესაბამისი**

2.მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

სკოლაში ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი იგეგმება წინა წლის გამოცდილებიდან. საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურუკულუმების განხილვა და ზრუნვა მის განვითარებაზე მომავალშიც გაგრძელდება. კათედრა გაითვალისწინებს როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებას, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდეს რევიზიის შედეგები. კათედრების წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოდ აღნიშნული მიდგომების მიმართ თავისი მზაობა.

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
4. თემატური გეგმები;
5. თვითშეფასების კითვარი; მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

16.11.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: